ნიკოლო მინიშვილი

საშარადისო ზღაპარი

მინიატურული პროზა

თბილისი
2007

შემდგენელი

და

წინასიტყვაობის ავტორი

მაია ჯალიაშვილი

ISBN 978-99940-931-4-4
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2007.

გახსოვდეს სიცოცხლე

არის ასეთი ცნობილი ლათინური გამოთქმა: „Memento mori“ – გახსოვდეს სიკვდილი – პოეტთაგან განებივრებული, რადგან ხშირად იმეორებდნენ. ტერენტი გრანელმა 1924 წელს ლექსების კრებულიც კი გამოსცა ამ სახელწოდებით, მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ნიკოლო მიწიშვილმა ჯერ კიდევ 1916 წელს დაწერა მინიატურა ამ სათაურით, თუმცა მისი შემოქმედების და, მათ შორის, მცირე პროზის საერთო სულისკვეთება მაინც სიცოცხლისკენ სწრაფვაა ნებისმიერ ფასად, რაღაც საოცარი ჟინითა და თავდავიწყებით, თუნდაც ტანჯვის, გამუდმებული მსხვერპლშეწირვის გზით. „გახსოვდეს სიცოცხლე“ – აი, ეს სიტყვები ჩაგვესმის ტკივილით დაქანცული მისი სულის კვნესიდან.

ნიკოლო მიწიშვილმა, მრავალმხრივი ნიჭის ხელოვანმა, მინიატურის ჟანრშიც წარმატებით იღვაწა. პირველ პოეტურ ნაბიჯებს ის ლექსებითა და მინიატურებით დგამდა. ცისფერყანწელთა ორდენის წევრს სჯეროდა, რომ უპირველესი დაფნა ეკუთვნოდა მის უდიდებულესობა პოეზიას, რომელიც ნებისმიერ ფორმაში შეიძლება განხორციელებულიყო, მათ შორის, არა მხოლოდ მხატვრულ სიტყვაში, არამედ შემოქმედთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ნიკოლო მიწიშვილს და მის მეგობრებს ქართულ მწერლობაში მინიატურის გზა გაკვალული დახვდათ. ამ მცირე ლირიკულ ჟანრს დიდი ხანია დაეპყრო ქართველთა გულები, ქართულ სიტყვასაც არ დაეშურებინა ძალღონე მისი მშვენიერების წარმოსაჩენად. მინიატურის აღიარებული ოსტატები იყვნენ: ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ჭოლა ლომთათიძე... XX საუკუნის 10-იან წლებიდან კი ნელ-ნელა გამოჩნდნენ და გამოიკვეთნენ ახალი სახელები: ნიკოლორთქიფანიძე, სანდრო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, დია ჩიანელი, ჯაჯუ ჯორჯიკია... მინიატურებს წერდნენ გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი. დაიწყო ქართული ლიტერატურის განახლების გასაოცარი ხანა, როდესაც ლექსთან ერთად მინიატურაც თავის სათქმელს ამბობდა და ახალი პოეტური მითოლოგიის მოდერნისტულ ტილოზე თავის ფერს აღბეჭდავდა.

ნიკოლო მიწიშვილის მინიატურები სიმბოლისტური ესთეტიკის პრინციპებითაა შექმნილი. მწერალი წარმოაჩენს პოეტურ სიმბოლოებს, რათა საკუთარი თავი და მთელი სამყარო ახალი გზით შეიცნოს, თუმცა მისი სტილი სადაა და გამჭვირვალე, მხატვრული სახეები ბუნდოვანებას, გაურკვევლობას კი არ ქმნიან, არამედ ეხმარებიან მკითხველს აღწერილი საგნისა თუ მოვლენის სიმბოლურად აღქმასა და მრავალმნიშვნელოვნად გააზრებაში.

ასე რომ, საქართველოში ამ ჟანრის განვითარების წარმოსაჩენად, თავისებურებების გასაანალიზებლად და შესაფასებლად ნიკოლო მიწიშვილის მინიატურების გათვალისწინება აუცილებელია.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ ზოგად შტრიხებს მოვხაზავთ, წინასიტყვაობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

თუ თვალს გადავავლებთ მინიატურის ჟანრულ თავისებურებებს, შევნიშნავთ, რომ ის ძალიან წააგავს ლექსს თავისი ლირიზმით და ესსეს განსჯის სუბიექტურობით. მიუხედავად მცირე ფორმისა, ეს არის თავისებური პრიზმა, რომელშიც მთელი სამყარო შეიძლება გადატყდეს. მკვლევართა დაკვირვებით, მინიატურა თავნება ჟანრია და ნაკლებად ემორჩილება ფორმის აღიარებულ კანონებს. ის ჰგავს აისბერგს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანს ზედაპირზე, მისი მთლიანი დანახვა კი მხოლოდ მკითხველის გონების სიღრმესა და სულიერ სიმდიდრეზეა დამოკიდებული. მინიატურას გენეტიკურად უკავშირებენ ძველ ეგვიპტურ, ბაბილონურ, ასურულ, ინდურ, არაბულ, სპარსულ, ლათინურ და ბერძნულ ლიტერატურას, აგრეთვე, შუა საუკუნეების არაკებს. „მინიატურა" იტალიური სიტყვაა, წარმოიშვა ლათინური „მინიატურედან", რაც წითელ საღებავს ნიშნავს. თავდაპირველად ხელნაწერებში აფორმებდნენ თავკიდურ ასოებს და მინიატურული ორნამენტებით ქმნიდნენ ტექსტთა ფონს. შემდგომში კი ტექსტებში აღწერილი ამბების დასურ-

ათხატებასაც მიჰყვეს ხელი და ასე ჩამოყალიბდა მინიატურული ფერწერის ნიმუშები. ხელოვნების ეს ჟანრი განსაკუთრებით განვითარდა აღმოსავლურ ქვეყნებში და განუმეორებელი ელფერი შეიძინა (შუა აზია, ირანი, არაბული ქვეყნები, ინდოეთი).

ხელოვანთა აზრით, სხვათაგან მკვეთრად განსხვავდება ქართული მინიატურა. იგი გამოირჩევა დეკორატიული კომპოზიციებით, ფერებით, რომლებიც განსაკუთრებულ ლირიკულ განწყობილებას ქმნიან, შესრულების უმაღლესი ოსტატობითა და დახვეწილი ტექნიკით. *„საქართველოში ოდითგანვე წიგნის მხატვრულ გაფორმებას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც არქიტექტურას, კედლის მხატვრობასა და ლითონის პლასტიკას“* (შალვა ამირანაშვილი – „ქართული ხელოვნების ისტორია“). ისტორიამ შემოგვინახა ქართველ მინიატურისტთა ნამუშევრები. ლიტერატურული მინიატურისათვის ფერწერის ამგვარ ტრადიციას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხელოვნება ქმნის ერთიან კულტურულ ველს და ქვეცნობიერად ახდენს გავლენას ნებისმიერ ფორმაზე. იოანე მოსხის „სამოთხისა“ და ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი „შუა საუკუნეთა ნოველები“, სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ იგავ-არაკები ქმნიდნენ ქართული ლიტერატურული მინიატურის მდიდარ ტრადიციას.

ცისფერყანწელი სანდრო ცირეკიძე, თვითონ შესანიშნავი მინიატურების ავტორი, ერთ-ერთი მათგანი იყო,

ვინც შეეცადა მინიატურის გენეზისის გარკვევას. მან უარყო გავრცელებული შეხედულება, რომ ევროპაში „ელექტრონისა და მოტორის ხანამ", ცხოვრების რიტმის დაჩქარებამ წარმოქმნა მინიატურის მცირე და სხარტი ფორმა — გრძელი ამბებისთვის, დიდი მხატვრობისთვის აღარავის სცალია და ევროპაში რომანების ნაცვლად მინიატურების წერა დაიწყესო. სანდრო ცირეკიძის აზრით, ეს საბუთი არ გამოდგებოდა საქართველოში ამ ჟანრის აყვავების ასახსნელად, რადგან ჩვენში ცხოვრება ჯერ საკმაოდ ნელიაო. მან მინიატურის აკვნად ევროპა კი არა, აღმოსავლეთი აღიარა, რადგან „*დიდ სურათს უნდა ფართო, გაბედული კალმის მოსმა. ეს შეიძლება ჩქარ ქვეყნებში. მინიატურა წერტილებით იწერება. იმას ზანტი, მოზომილი ხატვა უნდა. მინიატურას მოცლილი სპარსელი უნდა ხატავდეს შუადღისას, ჭადრის ჩრდილში. მონასტრის მშვიდ კედლებში ხატავდნენ მინიატურებს გელათის სახარებისთვის. სადაც მინიატურაზე ფიქრობენ, იქ ცხოვრების ფერადი კარუსელი ისე ნელა უნდა ბრუნავდეს, როგორც არსად სხვაგან: მინიატურული ფორმა აღმოსავლეთის კანონიერი შვილია და ევროპაში ის მოგზაურობს მხოლოდ*". სანდრო ცირეკიძე ევროპაში მინიატურის სახელოვან კავალრებად მიიჩნევს: კატულ მენდესს, შარლ ბოდლერს, ოსკარ უაილდს, სტეფან მალარმეს, ვილიე დე ლილ ადანს, პიტერ ალტენბერგს, ტეტმაიერს, რუსეთში — ტურგენევსა და რემიზოვს. საქართველო კი „ევროპის კარებზეაო", ამიტომ „*ჩვენ*

ევროპას საბრძოლის ლურჯ ჰერში უნდა შეეხედოთ პირდაპირ და არა ჩრდილოეთის გაყინულ სათვალეებითო“. სხვათა შორის, ცისფერყანწელებმა მოახერხეს არა მხოლოდ გონების, არამედ ხორციელი თვალებითაც პირდაპირ შეეხედათ ევროპისთვის. **გრიგოლ რობაქიძე** გერმანიაში გაემგზავრა, **პაოლო იაშვილი** პარიზში სწავლობდა, **ნიკოლო მიწიშვილი** კი 1922–1925 წლებში უცხოეთში ცხოვრობდა, კერძოდ, პარიზშიც. *„ჩვენ უნდა შევიყვაროთ მინიატურის ფორმა და ერთხელ კიდევ გავაკვირვოთ ევროპა, როგორც ჩვენი წინაპრები აოცებდნენ მათ უჩვეულო მინანქრებით“*, — წერდა სანდრო ცირეკიძე და სჯეროდა, *„რომანის გადაგვარების პროცესი ჩვენში დამთავრდება მინიატურის საბოლოო დაკანონებით და მიღებითო“*. საბედნიეროდ, ქართულმა მწერლობამ ისე მოახერხა, რომ არც რომანი გადაგვარებულა და მინიატურამაც დაიმკვიდრა თავისი ღირსეული ადგილი. ნიკოლო მიწიშვილი კი ერთ-ერთი ჩინებული მინიატურისტია, რომელმაც ჟანრის კანონების სრული დაცვით შექმნა განსაკუთრებული პოეტური სამყარო და მისი საშუალებით თავისი სულიერი პორტრეტიც.

ზოგადად, ნიკოლო მიწიშვილის მინიატურებისთვისაც დამახასიათებელია ცხოვრების რომელიმე ფრაგმენტზე ყურადღების გამახვილება და ზედმიწევნით დეტალურად ამოწერა, თუმცა აქცენტი უფრო ამ ფრაგმენტის ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ აღქმაზეა გადატანილი. მთავარია განწყობილება, შთაბეჭდილება, რომელსაც

სიცოცხლის ცალკეული წუთები ტოვებენ, ამიტომაც ხშირად ეს მინიატურები ჰგვანან ბოდლერისეულ „ლექსებს პროზად". ამ მინიატურებში არის „დარღვეული ეპოქის" (შალვა აფხაიძე) გამოძახილი, გაორებული სულის ტკივილი, რწმენის კრიზისი, ნიცშეანური აბზორი და შეურიგებლობა, ბედისწერის გარდუვალობის წინაშე შიში და სასოწარკვეთილება, ოცნებათა დაუსაზღვრელობა და სიცოცხლის ხანმოკლეობა, ცხოვრების წყვდიადი და ტანჯვის ანოლოგია, ადამიანის მრავალნიღბიანობა და სიცოცხლის საზრისის აუხსნელობა, სიყვარული, ღალატი და მარტოობა. ეს კი ის თემები და განწყობილებებია, რომლებიც დამახასიათებელია საკაცობრიო უნივერსალური კულტურული სივრცისათვის, რომელშიც ჩართულია ქართული ლიტერატურაც. *„ეკითხოთ სერვანტესი კაფკას შუქზე"*, — აცხადებს ფრანგი ლიტერატურათმცოდნე ჟერარ ჟენეტი და ამგვარ, ერთი შეხედვით პარადოქსულ აზრს ამართლებს ჟიულ ლემეტრის სიტყვებით, რომლებიც მას ბრუნეტიერზე უთქვამს: *„წიგნის კითხვისას ის ფიქრობს ყველა წიგნზე, რაც სამყაროს შექმნიდან დაიწერა"*. ამ შემთხვევაში ჩვენ ნიკოლო მიწიშვილის მინიატურების კითხვისას ასოციაციურად შეიძლება გაგვახსენდეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც დრო-სივრცულად თუ ათასი სხვა რამითაც ძალიან იყოს დაშორებული მისგან, მაგრამ *„ყველა წიგნი წარმოადგენს ერთ მთლიან წიგნს, ხოლო თითოეული ყველას ერთად მოიცავს"* (ბორხესი).

ნიკოლო მიწიშვილის მინიატურების ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი ადამიანური არსის გარკვევაა პოეტური სახეებით. ფილოსოფიურ მინიატურაში „მე ვარ ადამიანი“ მწერალი ფრაგმენტულად თვალს ადევნებს ადამიანის არსების სხვადასხვა „მეს“. კითხვისას თავს აღმოვაჩენთ ნიღბების კარნავალზე, სადაც ყველა ნიღბის უკან ერთი ადამიანი იმალება, ნიღბები კი ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. პირველ რიგში, ადამიანი არის მხეკი. სხვათა შორის აკუტაგავა რიუნოსკეც წერდა, რომ ადამიანური, ზედმეტად ადამიანური, როგორც წესი, რალაც ცხოველურია. სხვა ხმამაღალ სახელებს აღარ დავიმოწმებ მსგავსი აზრის გასამართლებლად, თუმცა ნიკოლო მიწიშვილისთვის მხეკი მხოლოდ ერთი ნიღაბია, როდესაც ადამიანი ხდება ინსტიქტების მონა, ბუნების კანონთა ბრმად აღმსრულებელი, მაგრამ არის სხვა „მეც“ — მგრძნობიარე, დიდი მისწრაფებებითა და ბრწყინვალე აზრებით, სხვათა თანალმობით სავსე (ადამიანთა სხვადასხვა „მეს“ ურთიერმიმართებას იკვლევდა ფროიდიც თავისი ფსიქოანალიზით და საგულისხმო დასკვნებს აკეთებდა მრავალგვარ კომპლექსთა ასახსნელად და დასაძლევად). ამ მინიატურაში ჩანს ერთი გამოკვეთილი ნიღაბიც თავისუფალი ადამიანისა, მაგრამ არის საბედისწერო დაკვირვებაც: „*როცა ძველი კერპები ძირს ემხობიან და ძველი წესები ისტორიას გარდება, მაშინ მე, თავისუფლების მოტრფიალე, თავისუფლების ჯალათი ვხდები და მათ, ვინც ბრძოლაში*

მეხმარებოდნენ, მონობაში ვაგდებ, ისევ ხუნდებს ვუყრი ფეხებში და ვცდილობ, თავისუფლების აჩრდილი ისევ არ მოელანდოთ". 1915 წელს დაწერილი ეს სიტყვები ახლა წინასწარმეტყველებასავით გაისმის. საგულისხმოა ადამიანის კიდევ ერთი „მე" — ცივილიზაციის შემოქმედი და კულტურის მოწინააღმდეგე. ეს „მე" დღევანდელ ეპოქაში ყველაზე მეტად იკვეთება, ამ „მე"-ს ძალაუფლება სწყურია ნებისმიერ ფასად და ღმერთსაც უკანყდება. ადამიანში გაღვიძებული ნიცშეანური „მე" კი ყველაზე საშიშია, რადგან ის ყველაფერს ნებადართულად მიიჩნევს. და დასკვნა: „*მე ყველაფერი ვარ და მე ვარ არარაობა*". ნიღბების ლაბირინთში ხეტიალი საჭირო გახდა იმისთვის, რომ კვლავ „აღმოჩენილიყო" დავიწყებული ბიბლიური სიბრძნე: „მატლ ვარ და არა კაც" (დავითის ფსალმუნი). ამგვარი თემატიკისაა (რა თქმა უნდა, პოეტური ვარიაციებით) მინიატურათა ერთი რკალი.

ნიკოლო მიწიშვილს ტანჯვა აჭყავს ღვთაებრივ რანგში. რასაკვირველია, აქ არის ასოციაციური გადაძახილი, უპირველესად, მაცხოვრის ჯვარცმასთან და საერთოდ ბიბლიურ სიბრძნესთან და შემდეგ — ლიტერატურულ ტექსტებთან, მათ შორის ყაზბეგის „ხევისბერ გოჩასთან", სადაც მამა შვილს არიგებს: „კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი". ვაჟა ფშაველა კი ბედნიერებას ტანჯვასთან აწყვილებდა: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებულიო". ცხადია, ტანჯვაში იგულისხმება გამუდმებული ბრძოლა საკუთარ თავთან, დაუცხრომელ სურვილებთან.

„საით მივდივართ?“ — ასე ჰქვია ერთ მინიატურას. აქაც სიცოცხლის საზრისის ძიებაა. მინიატურის მხატვრულად დახვეწილი ქსოვილი ამხელს, რომ მწერალი უსმენს სამყაროს: ვარსკვლავიდან „მომხიბლავი ჰარმონია გამოისმის“. რობაქიძეს სჯეროდა სფეროთა მუსიკის, აკაკი ტკბებოდა ვარსკვლავთა ჭიკჭიკით, ლაფორგი წერდა კოსმიურ მარშზე, რომლითაც პლანეტები „გარდაცვალებულ დედამიწას მიასვენებდნენ არარაობის სიცარიელისაკენ“. მინიატურაში არის სასოწარკვეთა, რომ ადამიანები „ცხოვრების ზღვაში“ მიცურავენ ბნელში და ხან ზეცისკენ ისწრაფვიან, ხან უფსკრულისაკენ. აქ არის გამოძახილი ეპოქის კრიზისისაც და მარადიული წყევლა-კრულვიანი სატკივარისაც, რომ „არ ვიცოდით სად, არ ვიცოდით, საიდან“. ასეთივე გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული გოგენის საკმაოდ ნათელ და ჭახჭახა ფერებში დახატული ცნობილი ნახატი, რომელსაც ავტორმა უწოდა: „საიდან მოვდივართ? ვინა ვართ? საით მივდივართ?“. ნახატზე ადამიანები სხვადასხვა საქმით არიან გართული, მხოლოდ ერთი ფიგურაა, მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი და მოფიქრალი. მხატვარმა სიმბოლურად, ალბათ, თავისი თავი დახატა. ცხოვრების ამაოება მან ერთი შეხედვით მშვიდ და „აზრიან“ ცხოვრებაში დალანდა და გაკვირვება პასუხგაუცემელი კითხვებით გამოხატა. ამ კითხვებს უტრიალებს ნიკოლო მიწიშვილის მინიატურათა ლირიკული გმირიც.

მცირე პროზის ერთ რკალში შეიძლება გავაერთიანოთ მინიატურები „წინ, სიკვდილისაკენ“, „Memento

mori“ და „სიცოცხლე... სიცოცხლე!“ პირველ მინიატურაში სიცოცხლე გააზრებულია როგორც სიკვდილისკენ გამუდმებული სვლა. მწერალი ადამიანს ურჩევს: *„მაინც რას იჩქარი? იქ, ბოლოს, ხომ იცი, რა გელის? „ის“ ხომ იქაა გაჩერებული — სიკვდილი! რაც მალე მიხვალ, იმდენად მალე მოგიღებს ბოლოს. მაშ, ნელა, ნელა“*. ჩვენი დროის მწერალი ჯემალ ქარჩხაძეც მოსწრებულად აფრთხილებდა თავბრუდამხვევი სიჩქარის რიტმში ჩართულ ადამიანს: *„რა გვეჩქარება, ღმერთი ხომ არსად გაგვექცევაო“* (რომანი „განზომილება“). ეს სისწრაფე, შეუჩერებელი წინსვლა მწერალში ტრაგიკულ შეგრძნებას იწვევს. მინიატურაში — „Memento mori“ — რეფრენად მეორდება „გახსოვდეს სიკვდილი“. ამ სიტყვებს თითქოს ედგარ პოსეული შავი ყორანი საბედისწეროდ დასჩხავის ადამიანს დაბადებიდან. *„ვით ციური ზამთარი ადუნებს და ანელებს ძგერას ბუნებისას, ისე ანელებს და ასუსტებს ალსა და სილამაზეს ცხოვრებისას ეს ძახილი“*.

მესამე მინიატურაში კი ავადმყოფის დღიურია წარმოჩენილი. ლირიკული გმირი ხედავს, როგორ იღვიძებს და ზეიმობს ბუნება გაზაფხულზე, ამ ფერხულში ადამიანებიც ერთვებიან. ტუბერკულიოზით დაავადებული ახალგაზრდაც მიემართება ტყისკენ, საიდანაც ხალხის ჟრიამული ისმის. სენი ავადმყოფს კვლავ ლოგინში აბრუნებს, მაგრამ გული არ ნებდება და იძახის: „სიცოცხლე მწყურია, სიცოცხლე“. ყოველივე ეს საოცარი დრამატიზმითა და ექსპრესიითაა გადმოცემული.

ფაუსტური ინტონაციები გაისმის მინიატურაში „უხილავს“. აქ დემონი ლირიკულ გმირს გარიგებას სთავაზობს: *„ყველაფერს, რასაც კი მოისურვებ, მოგცემ შენ, თუ ჩემი გზით ივლი“*. ბარათაშვილის მსგავსად, მასაც აწუხებს „იდუმალი ხმა“, რომელიც ჩასჩურჩულებს მწარე სიტყვებს: „რისთვის ცოცხლობ?“ მას შემდეგ, რაც „უხილავი სინათლისაგან“ ვერ იღებს პასუხს, თუ რატომ გააჩინა, დემონს მიმართავს, რათა ფაუსტივით „კვლევა-ძიების“ ძალა მისცეს და ფარდა ახადოს სამყაროს საიდუმლოებას.

მწერალი ცხოვრებას ადარებდა წიგნს („სიყმაწვილე“), საიდანაც „ვერ ამოშლი მას, რაც დაწერილია“. ამ წიგნში მხოლოდ სიყმაწვილეა ჩაწერილი ნათელი ფერებით. ამიტომაც: „ნეტარ არს ის, ვინც ლამაზად დასცალა ტკბილი ფიალა სიყმაწვილისა“.

მინიატურაში „პეპელა“ დახატულია, თუ როგორ იფერფლება პეპელა ცეცხლში და დასმულია კითხვა: „განა, ადამიანო, შენც პეპელას არ ჰგავხარ?“ და პასუხიც იქვე: „დიახ. შენ კიდეც გძულს და კიდეც გიყვარს სიკვდილი“. ადამიანი სიკვდილს, როგორც პეპელა ცეცხლს, ისე ეთამაშება, რადგან ეს „სიტკბოებასა და სიამოვნებას ანიჭებს“. სხვათა შორის, შიო არაგვისპირელს აქვს მინიატურა „პეპელა“, სადაც სიცივეში დამზრალი პეპელა აღმოაჩენს, რომ ჯობდა უფრო ადრე ალზე დანთქმულიყო და სინათლის შეხების „ნეტარი ჟრუანტელი!“ „ნეტარი სიმწვავე“ ეგრძნო. ორივე შემთხვევაში

ცეცხლთან თამაში აღიარებულია ცხოვრების გამართლებად.

ამ ცხოვრებას კი მწერალი გაიაზრებს, როგორც გამუდმებულ ნგრევა-შენებას: „ისინი ცხოვრებას ქმნიან, ათასი წლობით ნაშრომს ერთ წუთში ანადგურებენ, რომ ისევ ხელახლა დაიწყონ შრომა, ცხოვრება?!" „უყვართ, იმიტომ, რომ შეიძულონ" („ისინი ცხოვრებას ქმნიან").

როგორც ვხედავთ, ნიკოლო მიწიშვილი ეგზისტენციალურ თემატიკას ამუშავებს. ცხოვრების აბსურდულობა და ადამიანის მიზნის გაურკვევლობა მისი მთავარი საფიქრალია.

ცხოვრების ტრაგიკომიკურობა იხატება მინიატურაში „წუთები ცხოვრებისა". აქ აღწერილია, როგორ გლოვობს დედა ახალგაზრდა ვაჟს სასაფლაოზე, გაისმის სამგლოვიარო ჰიმნი, ყველას ცრემლი სდის და იქვე პატარა ბიჭი, მამისგან საგანგებოდ გამოგზავნილი, სასაფლაოზე ბევრი ხალხი იქნებაო, წყალს ყიდის და კაპიკებს აგროვებს, გახარებულია, რომ ბევრია მყიდველი. მწერალი ერთდროულად კონტრასტულად ხატავს ბედშავი დედის გლოვას და შვილის სიმარჯვით აღტაცებულ მამას, რომელსაც საერთოდ არ აღელვებს უცხო ადამიანის სატკივარი. გვახსენდება რუსთველის სიტყვები: „*ღმერთმან ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს*".

ნიკოლო მიწიშვილი მინიატურებში ხატავდა ბედნიერების ხანმოკლეობასა და პირობითობას („ყოველივე

წარმავალია"). ერთ დროს ცნობილი და აღიარებული მწერალი საზოგადოებისგან გაირიყება და მარტოობაში („თითქოს ცოცხლად დამარხულს დაემსგავსა") ესალმება სიკოცხლეს. ეს ყოველივე კი ჩატეულია რამდენიმე აბზაცში. მწერალი ზუსტად გრძნობდა სიტყვის ძალასა და ენერგიას, ამიტომაც მოკლედ და სხარტად ატევდა დიდ სათქმელს მცირე, მოკვეთილ ფრაზაში.

ილიასეული მოძრაობის აპოლოგია გამოსჭვივის მინიატურაში „მთის მდინარე". მწერალი აღტაცებულია მდინარის „მარადიული ახალგაზრდობით": „მიყვარხარ იმიტომ, რომ შენი სული ვერ შეგუებია მყუდროებას". ტრადიციასთან გადაძახილით მწერალი ხაზს უსვამს დროთა კავშირის დაურღვევლობას, ადამიანის განუყოფლობას თავისი წარსულისა თუ წინაპრებისაგან.

სიტყვის, გამოთქმის უძლურებაა წარმოჩენილი მინიატურაში „მდუმარება": „*დაკარგულად ჩასთვალე შენი დღენი, როდესაც მდუმარებას არ მოუცავს ბაგენი შენნი, მდუმარებით არ გისაუბრია შენს სულთან*" („დუმილიც მიითვალენ შენდამი ლოცვად" — ბარათაშვილი; „დუმილი ოქროა რჩეული"— ბიბლია...)

მწერალი მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტი რწმენა ადამიანთა ურთიერთმიტევებასა და სინანულში მჟღავნდება. ჯვარცმული ქრისტე მხოლოდ მაშინ აღსდგება ჭეშმარიტად, როცა ადამიანი სისხლს აღარ დაღვრის, არ დაჩაგრავს სუსტს" („სიზმარი").

მინიატურაში „მელანქოლია“ ერთი ლამაზი ლეგენდაა კვიპაროსზე. *„როგორი სწორი და შშოიანია კვიპაროსის ხეები. ამბობენ, კვიპაროსის ხე წმინდა კაცის გულზე ამოვიდა პირველად და როგორც განსვენებული იყო მართალი და სწორი ცხოვრებაში, მის საფლავზე ამოსული ხეც სწორად გაიზარდა და ეს თვისება ყველა კვიპაროსის ხეს გადაეცაო“.* ამ მინიატურაში ადამიანთა გაუცხოებაა წარმოჩენილი. მწერალი წუხს, რომ *„ყველა დაფარული აზრით ლაპარაკობს_ არც ერთი იმას არ ამბობს, რაც გულში აქვს“* ამიტომაც მელანქოლია, იგივე სპლინი აწუხებთ და გამოსავალი ვერ უპოვიათ.

ბოდლერს აქვს ერთი მინიატურა, რომელშიც ცხოვრება საავადმყოფოსთან არის შედარებული, *„სადაც ყოველი ავადმყოფი საწოლის გამოცვლის ჟინითაა შეპყრობილი. ერთს ურჩევნია ღუმელის გვერდით იტანჯოს, მეორე ფიქრობს, რომ ფანჯარასთან გამოჯანსაღდება“*: მინიატურის გმირი სულს სხვადასხვა ადგილას გადასახლებას სთავაზობს და წარმოსახვით ხან რას უხატავს, ხან რას. *„ბოლოს და ბოლოს ჩემმა სულმა სძლია საკუთარ გაოგნებას და სავსებით გონიერად მიპასუხა: „სითაც გსურს! სითაც გნებავს, ოღონდ გავეცალოთ ამ სამყაროს!“* მსგავსი ინტონაციები გაისმის ნიკოლო მიწიშვილის მინიატურებშიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასაც აწუხებდა დროში არსებობის ტკივილი და მარადისობას მიესწრაფვოდა.

მინიატურა „რეა“ ლირიკული აღსარებაა. რეა ჰგავს ედგარ პოს გაიდეალებულ ქალებს, რომელთაც ასეთივე მშვენიერი სახელები ერქვათ: ლიგეა, ელეონორა, მორელა– რეა რეალურ-მისტიკური სახეა მშვენიერი, მიუწვდომელი ქალისა, რომელსაც სიზმარ-ცხადში ხვდება ლირიკული გმირი და რომელიც სიკვდილის წინ უტოვებს ანდერძს, რომ არ დაივიწყოს.

რეა ბერძნული მითოლოგიის ღმერთქალია, კრონოსის მეუღლე და ზევსის დედა, მიუხედავად ამისა, მინიატურას არა აქვს მითოლოგიური საფანელი. ვფიქრობთ, აქ მთავარია ქალის ულამაზესი სახელის მუსიკალური ჟღერადობა, რომელიც იდუმალების ბურუსში ხვევს ამ სახელის პატრონს. ეს მინიატურა ედგარ პოს „ყორანსაც“ გვაგონებს. აქაც გლოვობს გმირი დაკარგულ სატრფოს და აქაც გაისმის სასტიკი „ნევერმორე“.

რეა სიმბოლოა მარადქალურობისა, სამყაროს გადამრჩენი მშვენიერებისა.

ნიკოლო მიწიშვილის მცირე პროზის ენა სადაა, რეალობასა და წარმოსახვას შორის მოქანავე. პოლ ვალერი წერის მისეულ მანერას ასე შეაფასებდა: *„როცა სტილი მშვენიერია, ფრაზა მკაფიოდ იკვეთება, მიზანი ცხადი ხდება – ყველაფერი სულიერდება“.* ამ მინიატურების სული მკითხველს კიდევ ერთხელ დააფიქრებს ამაოებაზე და მშვენიერებასაც აზიარებს.

გადავწყვიტეთ, ამ გამოცემაში ჩაგვერთო მინიატურისგან არც ისე განსხვავებული ერთგვარი ექსპერიმენტული ჟანრის ნაწარმოები, ერთი შეხედვით, ესსეს რომ ჩამოჰგავს — „გარდაცვალება", რომლის წინასიტყვაობაშიც მწერალი წერდა: *„პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს და, ალბათ, ესაა მიზეზი, რომ როგორც პოეტი, მე, შესაძლებელია დავრჩე წარსულში... ვფიქრობ, დასასრული ჯერ შორსაა და თუ პოეზია და მოქმედება მაინც ვერ შეერთდა, ეს ორი ცნება ერთ სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი. ეს კი მოითხოვს უკეთმა შეფასებას: პოეტისას — დღეს, ადამიანისას — მომავალში".*

„გარდაცვალება" მწერალს პოემად მიაჩნდა, თუმცა პოეტურ პროზას უფრო ჰგავს, რომელიც ყველაზე ახლოა მინიატურასთან. ალბათ, ამიტომაც შარლ ბოდლერმა მსგავსი მხატვრული ტექსტები ასეთი სახელწოდებით გამოსცა — „ლექსები პროზად", რომლის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: *„რომელ ჩვენგანს არ ჰქონია ამბიციური ოცნება პოეტური პროზის სასწაულის შექმნისა, რომელიც მუსიკალური იქნება მეტრისა და რიტმის გარეშე, ამასთან, იმდენად მოქნილი, რომ გადმოსცემს ლირიულ მოძრაობებს სულისას, ოცნების ქროლას, სინდისის ქენჯნას?"*

„გარდაცვალებაშიც", რომელიც დაწერილია 1922-23 წლებში, წარმოჩენილია სულის უჩინარი მოძრაობები, მწერლის მიერ საკუთარი თავის ძიების გზა. გარდაცვალება გაიაზრება როგორც მეტაფორა, რომელიც გულისხმობს სიცოცხლეშივე ცვალებას, ძველი ადამიანის სიკვდილს

ახლის, პოეტის შობისთვის. ეს არის მტკივნეული პროცესი, რადგან ხდება შეჯახება განვლილი გზისა და მომავალთან შესახვედრად მზადება. ნაწარმოები ორი ნაწილისგან შედგება. ერთს ჰქვია „სტამბოლი", მეორეს – „პარიზი". სტილისტურ-ესთეტიკურად ორივე ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ განსხვავდება საფიქრალითა და სათქმელით. უპირველესად, მთელი მხატვრული ტექსტი არის შთაბეჭდილებათა ერთგვარი ხატოვანი მოზაიკა. ემოციები, შეგრძნებები, ფიქრები მეტაფორულადაა გამოთქმული. აქ არის დიალოგები საკუთარ თავთან. მწერალი სამყაროს ანგელოსის მიერ გაშლილ წაუკითხავ წიგნს ადარებს. მას სწყურია ცხოვრებაში საკუთარი ნაკვალევის აღბეჭდვა არა მხოლოდ უბრალო ავტობიოგრაფიით, რომელიც მის ფიზიკურ ცხოვრებას ასახავს, არამედ სულის ბიოგრაფიით, უპირველესად, შემოქმედებით. ამ საქმეში მფარველად ღმერთი ჰყავს. სტრიქონები დიდი რწმენითაა გაჟღენთილი. მწერალს სურს, მკითხველიც აზიაროს იმ იდუმალებას, რასაც ლექსის დაბადება ჰქვია. მისი აზრით: *„პოეტისთვის სავალდებულოა ამბავი ღვთისა და პოეზიისა"*. აქ პოეზია აყვანილია რელიგიის სიმაღლეზე. პოეზია მისთვის ღმერთთან სასაუბრო ენაა, თავის მოღვაწეობას მხოლოდ ღმერთის თვალებით ზომავს, ამიტომაც მიმართავს ბიბლიურ პარალელებს, რაც თავისებურ სურნელს მატებს სტრიქონებს. ეს არის ამბავი იმ მისტერიის შესახებ, თუ როგორი ტკივილითა და ტანჯვით დაიბადა მასში პოეტი, რა მსხვერპლი დასჭირდა ამ საიდუმლო შობას. ამგვარად,

ტექსტი ფილოსოფიურ-მისტიკური ინტონაციებითაა გაჟღენთილი. მწერალი ექსპრესიულად და შთამბეჭდავად „გვიამბობს“ თუ როგორ იცვალა პავლესავით, რადგან აღარ სურდა ცხოვრება „გამოფიტული ღრუბელივით“. აქ არის გულისმომკვლელი სტრიქონებიც: *„მე არასოდეს ვყოფილვარ ბავშვი და გამსრისა იმან, რაც იყო პირველ ლექსამდე“*. მწერალი თავისი სულის მეორედ შობას პოეზიას უკავშირებს. მისთვის მოსანათლ ირდანედ სწორედ პოეზია იქცა. მასაც, როგორც სხვებს, სტანჯავდა სწრაფვა მარადიულისკენ, ამიტომაც იცვლიდა პოეტურ ნიღბებს, რათა განახლების ილუზიით მაინც დამტკბარიყო. ეს ეხმიანება სიმბოლისტთა ესთეტიკას ნიღბის მრავალმნიშვნელოვნებაზე.

მწერალი პიროვნულს აზოგადებს და უპირველესად სამშობლოს ბედს გაიაზრებს. *„საქართველო წარმოუდგენელია სიკვდილში. ის მხოლოდ იცვლება და ამ გარდაცვალებაში ბრუნავს, როგორც ასტრალური პოტენცია“* და თუ ეს ასეა, მაშინ დამაჯერებელია მისი რწმენაც: „ვიცი, რომ მე დავრჩები“. მას სწყურია გამარჯვება საკუთარ თავზე და ამ გზაზე სიყვარულისა და რწმენის იმედი აქვს. „განმეორდება ამბავი ლაზარესი თუ დამთავრდება ირბით“, ე. ი. ღმერთი მოხედავს და განახლდება, თუ დამორჩილდება ბედს მოთმინებით.

„პარიზში“ ეჭვი განახლებისა ძლიერდება: *„რა დამრჩება მე — პოეზია თუ ბიოგრაფია. დარჩება ორივე თუ არც ერთი არ იქნება გამართლებული“*. მას სტანჯავს

ის, რომ ღმერთმა მიატოვა, ამიტომაც ქრება კურთხევა პოეზიისა და სულში მარტოობა და სიცარიელე ისადგურებს. მწერალი თავს წარმოიდგენს გარდაცვლილად და თითქოს საიქიოდან გვესაუბრება. ჩნდება უძღები შვილის ასოციაცია. იგი გრძნობს, რომ მხოლოდ მშობლიური მიწა განაახლებს: „*და თუ ეხლა კიდევ ვსწერ, თუ საბედისწერო წისქვილი კიდევ ფქვავს ჩემი ფიქრების ყავასავით შავ მარცვლებს — ამის მიზეზია ეს მოგონება და ეს ძახილი პარიზში — იმერეთიდან*". ამიტომაც მოუწოდებს საკუთარ თავს: „*შინ. შინ. სახლისაკენ. მიწისაკენ. ჩემი მიწა და ჩემი თავსაფრიანი დედა. ზარებმა შესწყვიტეს, თურმე, რეკვა ჩვენს სოფელში. მაგრამ ზარები ისევ ბლავიან ჩვენსას, ჰკოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს*". უცხოეთში გადახვეწამ, სტამბოლსა და პარიზში ხეტიალმა მწერალს შესძინა გამოცდილება, ეს იყო ერთგვარი სიმბოლური „დაფლვა", დანთქმა უფსკრულში, რათა ჯოჯოხეთური წყვდიადის სიღრმიდან ეხილა სინათლე. „*შესვლა მარტოობაში გამართლებულია მხოლოდ ამეტყველების, მხოლოდ დაბრუნების იმედით. ამიტომაა, რომ უდაბნოზე ყოველთვის გადაბმულია ფიქრი წყაროს შესახებ*". ეს წყარო მისთვის იყო ღვთის რწმენა, რომელსაც მხოლოდ სამშობლოში დაეწაფებოდა ჭეშმარიტი განახლებისთვის.

ასეთია, მოკლედ გადმოცემული, „გარდაცვალების" კითხვისას აღძრული შთაბეჭდილებები, ვფიქრობთ, ეს

ტექსტი, ნიკოლო მიწიშვილის სხვა ნაწარმოებების დარად, საგანგებო ანალიზისა და კვლევის ღირსია, რადგან იგი ნამდვილი ხელოვანის თვალით ეპოქასაც წარმოაჩენს და ადამიანის სულის ნათელ და ბნელ ხვეულებსაც.

გამომცემლობა „ინტელექტმა“ კეთილშობილური მიზანი დაისახა მივიწყებულ ღირსეულ მწერალთა ხელახლა „გაცოცხლებისა“. მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე უკვე გამოიცა ნიკოლო მიწიშვილის ლექსები და მხატვრულ-დოკუმენტური პროზა (გამოცემები მიეძღვნა მწერლის დაბადებიდან 110 წლისთავს). „მცირე პროზა“ ამ საქმის გაგრძელებაა. საგულისხმოა, რომ აქ, ადრე გამოცემულ მინიატურებთან ერთად, ოთხმოცდაათი წლის შემდეგ პირველად ქვეყნდება, მანანა ჩიტიშვილის მიერ მოძიებული „უდაბნოს საიდუმლო“, „აკვარელით ნახატები“ და ეთერ მგალობლიშვილის მიკვლეული შესანიშნავი „რეა“ და „ბაბილონის ხალიჩა“.

წინამდებარე წიგნში მოცემული მინიატურების უმრავლესობა 1914-1916 წლებითაა დათარიღებული, ამ დროს მათი ავტორი 18-20 წლისაა.

მაია ჯალიაშვილი

საით მივდივართ?

ჩვენ მივცურავდით...

ღამე იყო, უმთვარო ღამე.

ცა იდუმალებით იყო მოცული, მხოლოდ ვარსკვლავები ამხილებდნენ, რომ იქ, ზევით, რაღაც საიდუმლო მოძრაობაა, რაღაცა საიდუმლო ძალა აერთებს ამ მოძრავ, ბრწყინვალე ნერტილებს და მათი ბგერიდან რაღაც მომხიბლავი ჰარმონია გამოისმის...

ზღვა კი ჩვეულებრივად ღელავდა, შავი ტალღები ერთიმეორეს ეხეთქებოდნენ, ხან ერთმანეთს წვეთებად აქცევდნენ, ხან კი ჩვენს ნავებს ეკვეთებოდნენ და უფსკრულისაკენ გაქანებით ემუქრებოდნენ.

ჩვენ კი მივცურავდით...

ირგვლივ წყვდიადი... არ ვიცოდით, საით მივდიოდით, რა გზას ვადექით. ოდნავადაც ვერ ვხედავდით ნაპირს და ინსტინქტურად პირდაპირ, სულ ერთი მხრისაკენ მივდიოდით...

— აუუუ! — გაისმის ამხანაგების ხმა.

— აუუუ! — გასძახიან შორიდან.

— საით მივდივართ?!

— არ ვიცით!..

— დანიზოსის მახლობლად უნდა ვიყვეთ!

— ვერაფერს ვერ ვამჩნევთ...

და ისევ მივცურავდით... ჩვენი პატარა ნავები ხან ზეცისაკენ ისწრაფვოდნენ, ხან კი ელვის სისწრაფით უფსკრულისაკენ მიექანებოდნენ. მაგრამ რაღაც უხილავი ძალით ნავები ისევ ზევით ექცეოდნენ ტალღებს... მივცურავდით ბნელში... არ ვიცოდით, სად, არ ვიცოდით, საიდან...

ყოველი ნიჩბის მოსმით ჩვენ თითქოს უფრო ვეფლობოდით ამ თვალგაუვალ წყვდიადში, ყოველი ნიჩბის მოსმა გვაშორებდა განვლილ გზას, რომელიც მყისვე წყვდიადში ეხვეოდა...

წყვდიადიდან წყვდიადისაკენ!..

— აუუუ!

— დაიცადეთ, დავისვენოთ!

— ჩქარა, ჩქარა, ქარი მატულობს!

თავი მოვიყარეთ. ცოტას ვისვენებთ. ქარმა სულ უფრო მოიცა ძალი, ტალღები იზრდებიან, ჩვენ ისევ მივდივართ... ისევ მივცურავთ... ირგვლივ ბნელა, სქელი და მძიმე წყვდიადი გვფარავს ჩვენ...

წყვდიადს ვტოვებთ და წყვდიადში ვეხ-
ვევით...

— წყვდიადიდან წყვდიადისაკენ!

— მივდივართ!..

— საით, საით მივდივართ? — გაისმის ხმები.

1914

ტანჯვა

მე ტანჯვა-წამებით მოვედი ამქვეყნად...

პირველი ჩემი ხმა ტანჯვისაგან გამოწვეული ძახილი იყო...

პირველად მე ტანჯვა შემხვდა და მას შემდეგ ის არ მომშორებია.

მე მეგონა, ის ხანდისხან მტოვებდა, მშორდებოდა. მაშინ ჩემთვის დგებოდა ჟამი ბედნიერებისა, სიხარულისა, სიამოვნებისა, მაგრამ თურმე ვცდებოდი. ის ისევ ჩემთან იყო, მხოლოდ სხვა სახით მეჩვენებოდა...

მიდიოდა დრო, მე ვცხოვრობდი და ვიტანჯებოდი, რადგან ტანჯვა ცხოვრება იყო და ცხოვრება კი — ტანჯვა...

მე განგებამ სიცოცხლე მომანიჭა... მე ის მიყვარს... ყველაფერზე უფრო მიყვარს...

— და რაა სიცოცხლე?

— ტანჯვა.

და მე მიყვარს ეს ღვთაებრივი ტანჯვა, რომელსაც ვხედავ ბუნების ყოველ კუთხეში, მიყვარს... ვაღმერთებ მას და არასოდეს პირსა ჩემსა არ წამოსცდება: რისთვის ვწვალობ, რად ვიტანჯები, რადგან ამითი

მე სიცოცხლეს უარვყოფ და მასზე უკეთესი კი მე არა მაქვს რა...

— არა არს ბედნიერება, არამედ ტანჯვა, არ არიან ბედნიერნი, არამედ ტანჯულნი...

პირველად დამხვდა მე ის ცხოვრების კარებთან, პირველი ჩემი სუნთქვა, პირველი ჩემი ხმა ტანჯვისაგან იყო გამონვეული...

იგივე მიმყვება მე ცხოვრების კარამდე, ვით ერთგული მეგობარი...

ტანჯვაში აღმომხდება უკანასკნელი ოხვრა, წუთისოფლიდან წასვლისას დამტოვებს იგი, დამეკარგება... დამეკარგება რისთვისაც მოველ ამქვეყნად...

დამეკარგება სიცოცხლე-ტანჯვა.

1914

სიყმაწვილე

მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩამოივლის ის ჩვენი ცხოვრების კარებთან, მხოლოდ ერთხელ გაჩერდება ის საიდუმლოებით მოცულ ცხოვრების ბჭესთან და წავა, გაქრება, ვით მოელვარე წამი. გაქრება და მოეფარება სამარადისოდ ცხოვრების მჩქეფარე ტალღებს. გაქრება და ვეღარ ნახავ მას შემდეგ.

ბევრჯერ უძახი მას ცხოვრების უკანასკნელ წუთში, მოუხმობ ბევრჯერ, მაგრამ ამაო იქნება ძახილი და მუდარა, ის აღარ დაბრუნდება შენთან...

ბევრჯერ მოისურვებ, რომ დასწვა, დაფერფლო მომავალი ცხოვრება შენი, დაამსხვრიო ან არსებული ფიალა ცხოვრებისა, მხოლოდ ის დაბრუნდეს, გაგრძნობინოს წუთით მაინც, რაც იყო, რაიც ოდესღაც განიცადე, რაც ისე უყვარდა სულს, მაგრამ ულმობელია სასტიკი დრო, იგი ჯალათია ბედნიერების წუთებისა: ვერაგულად მოგაცილა მან საუნჯე შენი და აღარ დაგიბრუნებს მას. აღარ დაგიბრუნებს არასოდეს...

მწუხრისა ჟამსა, როდესაც წერ შენი ცხოვრების უკანასკნელ ფურცლებს, როდესაც ისმის მწუხარე გლოვის ზარი — შენი ცხოვრების გამომტირებელი გლოვის ზარი — შენ ისევ გსურს თავიდან იწყო წერა ამ ფურცლებისა, მაგრამ ვერ ამოშლი მას, რაც დაწერილია, ვერც დაწერ აწი იმის მსგავსს, რაც ჩაგიწერია ცხოვრების წიგნში. ის არ იქნება მსგავსი სანატრელი წარსულისა, მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩამოივლის ის შენს კარებთან, მხოლოდ ერთხელ გაგიღიმებს ტკბილი ღიმილით, ერთხელ მოგანოდებს ლამაზ ფიალას, ტანჯვა-ბედნიერებით ავსებულს.

ბოლომდე დასცალე ფიალა იგი! დასცალე, რადგან წუთი იგი აღარ განმეორდება შენს ცხოვრებაში!

მალე, მალე გაივლის სიჭაბუკე, ახალგაზრდობა და ნეტარ არს ის, ვინც ლამაზად დასცალა ტკბილი ფიალა სიყმაწვილისა, ნეტარ არს!

1915

მე ვარ „ადამიანი“

ა

მე ვარ მხეცი, გრძნობა-გონებას მოკლებული, მე ვჭამ ჩემი ძმის ხორცს, თუ მშია — ვკლავ მას, თუკი ეს გამომადგება. მე არა მაქვს არავითარი გრძნობა, და თუკი თავს კარგადა ვგრძნობ, სხვაზე არას ვფიქრობ.

მაგრამ მე ვშრომობ, ვშრომობ და მით ჩემს სხეულს ვასაზრდოებ. და თუ ხანდისხან მე ცოტა არ მყოფნის — სხვას ვგლეჯ ხელიდან თავის ლუკმას. მე მესმის ტირილი მათი, ვისაც ლუკმა წავართვი, სიცოცხლე მოვუსპე, მაგრამ რა ვუყოთ: მე ჩემს კუჭს ვაკმაყოფილებ და ამგვარად ბუნების კანონს ვასრულებ.

ბ

მე ძლიერ მგრძნობიარე ვარ, დიდი მისწრაფებანი მაქვს და მრავალი ბრწყინვალე აზრი იბადება ჩემს თავში.

მე ჩემი სათუთი გრძნობების დასაკმაყოფილებლად ავაგე საკვირველი შენობანი, შიგ

სხვადასხვა გასართობებით. მე ხშირად დავდივარ თეატრებში. იქ სხვადასხვა სურათები მეხატება თვალწინ, საუცხოო სურათები.

იქ ვხედავ გაჭირვებას, ტანჯვა-წვალებას ჩემისთანა არსებისას, მე ძლიერ მეცოდება ის. მე ვერ ვიტან ამ ცხოვრების სისასტიკეს, საშინელებას. მე მეცოდება ბედკრული ჩემი მოძმე. მინდა გადავეხვიო მას, გადავკოცნო, ვაჩუქო თუ რამ მაბადია.

მე თეატრის გარეთაც ვხედავ ამისთანა ხალხს, მაგრამ ისინი ისე უზრდელნი არიან, ისე უზრდელნი, პირდაპირ გეტყვის — მშია, არაფერი მიჭამიაო. დიახ, მე სათუთი გრძნობა მაქვს და ძლიერ მეცოდება ჩემი ტანჯული მოძმე.

გ

მე ძლიერ მიყვარს თავისუფლება და ვიბრძვი მისთვის... თავს არ ვზოგავ მისი მოპოვებისათვის... მე მქუხარე ხმით გავსძახი ჩემს თანამოძმეებს: „ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, ბრძოლა მტარვალებს, გაუმარჯოს თავისუფლებას-თქო“, და ვიბრძვი...

დ

როცა თავისუფლებას ვპოულობთ, როცა ძველი კერპები ძირს ემხობიან და ძველი წესები ისტორიას ბარდება, მაშინ მე — თავისუფლების მოტრფიალე — თავისუფლების ჯალათი ვხდები და მათ, ვინც მე ბრძოლაში მეხმარებოდნენ, ისევ მონობაში ვაგდებ. ისევ ხუნდებს ვუყრი ფეხებში და ვცდილობ, თავისუფლების აჩრდილი ისევ არ მოელანდოთ...

ე

„სამშობლო და თავისუფლება“ — ოჰ, როგორ მაღელვებენ მე ეს სიტყვები!

დიახ, მე თავგანწირვით, თავგანწირვით მიყვარს ჩემი სამშობლო! მიყვარს ჩემი მამაპაპის სისხლით მორწყული მიდამოები და საჭიროების დროს ამ მიდამოებს ჩემს საკუთარ სისხლსაც დავანთხევ.

ვ

ჩემი ინტელექტი, ჩემი განვითარებული გონება, რომელმაც აზროვნების მწვერვალებს

მიაღწია, ისე დახელოვნებულია, რომ რიდე ავხსენი ბუნების მრავალ საიდუმლოებას, მონად გავიხადე ბუნების ძალები.

მე ხმელეთზე ქარივით დავქრი. ზღვაზე და ზღვის ქვეშ გამეფებული ვარ და ჰაერი ჩემი სანავარდო მოედანია. ვით მჩატე ეთერი, მე დავსისინებ ცის განუსაზღვრელ სივრცეში.

მე ყველაფერი ვიცი დ სხვას გზას ვუკეტავ სინათლისაკენ, თორემ ისიც გაიგებს, შემეჯიბრება და ისევ დაიძახებს „ბრძოლა, ბრძოლაო", მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინათ ამ სიტყვებს მათთან ერთად მე სხვას ვესროდი და ახლა ისინი ჩემს წინააღმდეგ იქნებიან მომართული.

თ

მე მეფე ვარ ქვეყნისა, მხეცზე უფრო უზენაესი ინსტინქტების მქონე.

მე ვარ ძალა, რომელსაც ვერაფერი ვერ დაიპყრობს. მე ვარ, როგორც ამბობენ, ღვთის ხატება, რომელსაც დღეს სატანას ხატებაც მივუმატე.

მე ვარ არსება, რომლისათვისაც აკრძალული არაფერი არ არის, რომლისათვისაც ყველაფერი ნებადართულია.

მე ვარ უმშვენიერესი და უგონიერესი ქმნილება უხილავისა!

მე ვარ უდიდესი ალტრუისტი და საშინელი ეგოისტიც!

მე ყველა მიყვარს და ყველა მძულს, ყველას ჩემს თავს ვანაცვალებ და ყველას ჩემი თავი მირჩევნია.

მე ვარ ქმნილება, რომლის გუშინდელ წმიდათაწმიდას დღეს ვბღალავ და დღევანდელს ხვალ ვაბინძურებ!

მე ყველაფერი ვარ და მე ვარ არარაობა!

მე ღმერთი ვარ!

მე ვარ არსება, რომელსაც დიდად პასუხისაგები სახელის ტარება ხვდა წილად და რომელიც მას დღეს ღირსეულად ატარებს.

მე ვარ „ადამიანი...“

1915

წინ, სიკვდილისაკენ!

— გაბნი, ირბინე, — ეუბნება რაღაც ძლიერი ძალა მოქათქათე მზეს, — არ შეჩერდე... ჩქარა, ჩქარა!

და ისიც შეუჩერებლივ მიჰქრის თვალუწვდენელი ცის სივრცეში. მიჰქრის... მიჰქრის კოსმოსის შექმნის პირველი დღიდან...

რადა?!

მას ხომ თვითონ არა სურს, ასე იაროს... არა, არ სურს, მას არ უნდა... ვერა ხედავთ, როცა ის საღამოს ზღვის ტალღებში იმალება, ის თითქოს სტირის, ის იბრძვის. ის ხტება, მაღლა იწევა, რომ ერთი კიდევ შეხედოს, თვალი მოჰკრას საყვარელ ქვეყანას, მაგრამ უხეში ძალა მას არ აჩერებს, მიაქანებს... შორს მიაქანებს...

— წინ! დაიწვი საკუთარ ცეცხლში... სხვაც დასწვი! იარე, იარე!

— ეს ხომ სიკვდილია... სიკ...

— ჩქარა... თუნდაც მოკვდე.. დაიწვი... მხოლოდ წინ! აჩქარებს ძლიერი ძალა და ის მიჰქრის, მიჰქრის...

— სიკვდილისაკენ...

* * *

— გაიზარდე, გაიზარდე, — ეუბნებიან პაწია ბავშვს, — გაიზარდე ამხელა, აჰაა... დიდი კაცი... მალე გაიზარდე, რომ...

საწყლები!.. ჩქარაო... და ის კი არ იციან, რომ ეს მალე გაზრდა მალე სიკვდილსა ნიშნავს!

ნუ, ჩემო პატარა, ნუ უჩქარი. სიკვდილი ისეც ადრე მოვა...

* * *

— გაზაფხულდა! — გაიძახიან ყველანი, — გაზაფხულდა!

ნაზმა იამ თავი წამოყო... ხის ტოტები რაღაც უცნაური კვირტებით დაიფარა... ვარდის კოკრები დიდდებიან... ფართოვდებიან... რაღაც უხილავი ძალა თითქოს ბერავს მათ.

— მალე გაიზარდე, გაიფურჩქნე... ჩქარა, ჩქარა! — ეძახის მათ შიგნიდან ის და ვარდები იშლება, იშლება...

— მაცალე... არ მინდა, — ეუბნება ამ ძალას კოკორი, მაგრამ მას არ ესმის... არ

ესმის... ეძალება — წინ, წინ, გაიზარდე, გაიფურჩქნეო...

ნელა... ნელა გაიშალე, კოკორო, თორემ მალე, მალე მოვა შემოდგომა და ყველანი გაყვითლებულნი ძირს ჩამოიყრებით.

ნუ, ნუ უყურებთ მას, ნუ უჩქარით... ნელა გაიშალენით, ნელა...

ნუ მიჰქრი ასე სწრაფად, ცხოვრებავ... ნელა, ნელა... შენ ისე ლამაზი ხარ, ისე მშვენიერი, მაგრამ შენ ისე ჩქარა მიჰქრი, რომ ბევრი, ვისაც შენსავით სწრაფი თვალი არა აქვს, ვერ ამჩნევს შენს სიმშვენიერეს... ნელა ნადი... დაე, ყველა დასტკბეს შენი სილამაზით, სიმშვენიერით, ყველა დასტკბეს.

და მაინც რას უჩქარი? იქ, ბოლოს, ხომ იცი რაც გელის. „ის" ხომ იქაა გაჩერებული — სიკვდილი! რაც მალე მიხვალ, იმდენად მალე მოგიღებს ბოლოს. მაშ ნელა, ნელა!

* * *

ოხ, არ ესმით... მზე მაინც ჩქარა მიჰქრის... მას სითბო აკლდება — ის იფერფლება საკუთარსავე ალში. პატარა კი უცბად გაიზარდა.

ყოველი მცენარეც ზევით იწევს, ნუთობით იზრდება. ცხოვრებაც მიჰქრის... ვერ ჩერდება... ვერ ჩერდება.

— წინ, ჩქარა! — გაიძახის ეს საიდუმლო, ძლიერი ძალა... და ყველაფერი შეუჩერებლივ მიჰქრის, რათა მალე განვლოს თავისი გზა და შემდეგ სიკვდილის მხვერპლი შეიქნეს... რათა შემდეგ სიკვდილი დაეპატრონოს მას.

შეუჩერებელია ეს წინსვლა სიკვდილისაკენ, შეუჩერებელია!

ოჰ, ნელა წადით, ნელა, იქ ხომ სიკვდილია... ნელა!

1915

პეპელა

ინათა სანთელმა და გაჩნდა პეპელაც.

გაექანა და შიგ შუაგულ ალში შევარდა. გადარჩა. კიდევ გაექანა, ფრთები აელანძა მხოლოდ... კიდევ და კიდევ.... პეპელას ფრთები შემოეწვა, პეპელა ძირს დავარდა...

მოკვდა პეპელა... დაიწვა პეპელა...

რისთვის მოკვდა ნაზი პეპელა, რადა?

რისთვის მიფრინავს პეპელა ცეცხლისაკენ, განა არ იცის, რომ ფრთები შემოეწვება და ძირს დაეცემა?

იცის, იცის, რომ ის ცეცხლში დაიწვება. იცის, რომ მისი ნაზი ფრთები ალზე დაიფერფლება... იცის, რომ თვითონაც ამ ცეცხლის მსხვერპლი შეიქნება. მაგრამ... მაგრამ ის ვერ ჩერდება...

ცეცხლი იზიდავს მას თავისაკენ, თუ რაღაც გაუგებარი დაფარული ძალა მოაქანებს ცეცხლისკენ, არავინ იცის. მხოლოდ ის ცეცხლისაკენ მიფრინავს, იწვის ამ ცეცხლში და იფერფლება...

ხომ კარგია სიცოცხლე, ხომ საყვარელია იგი და რად აქრობს მას პეპელა ცეცხლზე? რადა? რისთვის?

და, განა, ადამიანო, შენც პეპელას არ გავხარ? განა თვით შენც პეპელა არა ხარ?

დიახ, შენც პეპელა ხარ, მოფარფატე პეპელა. შენც ცეცხლისაკენ მიისწრაფვი. შენ კიდეც გძულს და კიდეც გიყვარს სიკვდილი... შენ ათასნაირ კაცისმკვლელ იარაღს იგონებ. ხომ იცი — მისი მსხვერპლი თვითონ შეიქნები!

შენ დიდ ცეცხლს ანთებ. ალი მისი ზეცასა სწვდება და შენ ამ ალში ვარდები... ეხვევი ამ მწვავე ალში... განა არ იცი, რომ დაინვები შიგ, განა არ იცი?

იცი, იცი, მაგრამ შენ მაინც ცეცხლისაკენ მირბიხარ, თითქოს მასში იყოს ხსნა შენი. შენ კი ნამდვილი სიკვდილისაკენ მიისწრაფვი...

რადა? რისთვის?

არც შენ იცი, რადა? არ იცი? ხა, ხა, ხა, ხა... პეპელა ხარ... მოუსვენარი პეპელა, თავის ფრთებს რომ ცეცხლის ალზე ინვავს...

და ვინ განსაჯოს, რისთვის ეთამაშები შენ სიკვდილს? ნამდვილად სიკვდილი გწყურია, თუ სიტკბოებასა და სიამოვნებას განიჭებს სიკვდილთან თამაში?

ეჰ, ვინ ახსნას, რად დაფარფატებს პეპელა სანთლის ალთან, რად ეხვევა ამ ალში...

რადა? რისთვის?

1915

სიცოცხლე... სიცოცხლე!

(ავადმყოფის დღიურიდან)

გაზაფხულის საღამოს ხალხი ქალაქიდან ტყისაკენ მიეშურება სასეირნოდ.

არემარე კვლავ გამოცოცხლებულა. ბუნება ხარბად დასნაფებია ცხოვრების ნექტარს. ყოველი ბალახი, ყოველი ფოთოლი ხარობს, შრიალებს და ათასნაირ ჰანგზე მღერის ცხოვრების სასიხარულო სიმღერას... ნაკადულიც ბანს აძლევს ბუნების ტალღათა სრბოლას. იგი მხიარულად მილიკლიკებს ტყის გვერდით. იგი ხტის, იგიც ხარობს, რომ მისი მეგობარი ბუჩქები და ხეები კვლავინდებურად შრიალებენ, ძველებურად უვლიან ფოთლები სიოს სისინზე მხიარულ ფერხულს...

მხიარული ჩიტები კვლავ დაჰბრუნებიან თავიანთ ძველ ბუდეებს და დილიდან საღამომდე ახალი ცხოვრებისათვის ზრუნავენ... ჭიკჭიკით ამხიარულებენ ტყესა და ველს. ხის ლურჯი ბაყაყებიც კი სითბოს გარეთ გამოუყვანია. ირგვლივ შეუწყვეტლივ გაისმის

მათი მხიარული „ყა, ყა, ყა“, თითქოს რაღაცა სასაცილო რამ დაინახეს და მასზე ხარ-ხარებენო... ყოველი ხიდან მოისმის მათი ყი-ყინი და შორიდან ადამიანს ჰგონია, რომ მთე-ლი ტყე ხარხარებს, იცინის და ტაშს უკრავს სიხარულით.

ყველა სიხარულით მიდის ამ ტყისაკენ — ეტლით, ქვეითად. აგერ ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ხელიხელჩაკიდებული მხიარული სიცილით მი-უყვება ტყისაკენ გზის ნაპირს. აგერ ეტლით ჩაიქროლა ვიღაც ჩასუქებულმა კაცმა. იქ ყმანვილებს სუფრა გაუშლიათ მდელოზე და მათი სიმღერა-სიცილი არეს ედება. აი, კიდევ ქალ-ვაჟი... ესენი კი ჩუმად მიდიან, არ ლაპა-რაკობენ... არა, ისინიც ლაპარაკობენ და როგორ მგრძნობიერად! განა ენით გამოთ-ქვამს კაცი იმას, რასაც ხანდისხან საყვარელი არსების მკლავშემოყრილი მკლავი იტყვის? ილაპარაკეთ, ისაუბრეთ, მეგობრებო!..

აი, მეც ნელ-ნელა მივდივარ ტყეში.

ძლივს მეც აქ მოველ, დავაღწიე თავი ჩემს ბნელ საკანს... მოვშორდი ტანჯვის სარე-ცელს... კმარა, მე აღარ შემიძლია მეტ ხანს წოლა... მეც სიცოცხლე მინდა, მინდა სხვისი ბედნიერებით მაინც დავტკბე. სხვის ბედ-

ნიერებას მაინც ვუცქირო... მივდივარ... მაგრამ, აჰ! ამ გორაკზე უნდა შევისვენო. აღარ შემიძლია, ლურსმანივით მომწოლია რაღაც გვერდში, თითქოს მის გახვრეტას ლამობსო. ეს ხველა კიდევ, ეს ხველა! ოჰ, ღმერთო ჩემო, როდის რა მეშველება. რა უნდა ვუყო ამ ხველას.

აი, ქალ-ვაჟი მიდის ზევით... მომიახლოვდნენ... გაკვირვებით მიცქერიან, თუ როგორ ვიხრჩობი ხველებით ხის ძირას მწოლარე. გვერდი ამიარეს.

— ეი, მეგობარო, კოხის ბაცილების წინააღმდეგ არ არის რაიმე საშუალება? მეგობარო...

— რა სისულელეა, — მომესმა მათი ხმა. არც კი იხედებიან ჩემკენ, ისე მიდიან. აი, მათი სიცილიც მოისმის... იქნება მე დამცინიან, თქვენ ხომ ხართ მაინც ბედნიერნი, იცინეთ, სანამ ცოცხალი ხართ, იცინეთ.

დაბლიდან მხიარული სიმღერა მოისმის. მე ისევ ვწევარ მინდორზე, ხის ძირას. არა, არ მინდა დაწოლა. განა არ მეყო საწოლში ტრიალი? რისთვის უნდა ვიყვე გამონაკლისი ამდენ ხალხში! განა მე არ უნდა მიხაროდეს გაზაფხულის მოსვლა? რად ვერ დავსტკბე მისი მშვენიერებით?

ავდექი, მივეყრდენ ხეს.

— ეეეეე! სიცოცხლე მწყურია, სიცოცხლე! — ვიყვირე მე.

თითქოს ტყე შეინძრა და იცოცხლეო, ყრუდ გამომძახა გაღმიდან.

იჰ, შენ კი გენაცვალე, ჩემო ტურფავ, ჩემო მშვენიერო ტყევ. მაშ ვიცოცხლებ, მაშ, არ მოვკვდები, გენაცვალე, და კვლავ გნახავ შენ?

ოჰ! რა კარგია, რა კარგია, რა კარგია სიცოცხლე, რომ იცოდე.

მაგრამ ეს რაა? თავბრუ მესხმის. ალბათ, ძლიერმა ყვირილმა თუ დამასუსტა...კიდევ ხველება... სისხლი... ოჰ... ვეცემი... აი, აგერ ვიღაც კაცი მორბის ჩემ საშველად, მე ადგომა აღარ შემიძლია, მინდორზე ვგორავ.

— რა დაგმართნია, მეგობარო, — მესმის უცნობის ხმა.

— სიცოცხლე, სიცოცხლე მწყურია, გესმის, — ვბუტბუტებ მე, — სიცოცხლე!

— „იზვოზჩიკ"! — იძახის უცნობი კაცი. ალბათ, მეეტლეს უძახის.

მე აღარ მახსოვს, როგორ მომიყვანეს სახლში გაზაფხულის იმ მშვენიერ საღამოს, როდესაც მიმავალ ცხოვრებას ვეძახდი.

მას შემდეგ სულ ვწევარ... ახლაც ვეძახი მას, ახლაც, მაგრამ არავინ ეხმაურება ჩემს ძახილს. არსაიდან ისმის საპასუხო გამოძახილი — იცოცხლეო!

ჩემი თვალით ვხედავ, როგორ დნება სიცოცხლე ჩემი, ვით სანთელი ცეცხლის ალზე, როგორ მშორდება და ქრება იგი, მაგრამ რა ვქნა, არ ითმენს ეს შეუპოვარი გული და კიდევ ვიძახი:

— სიცოცხლე მნყურია, სიცოცხლე.

1915

უხილავს

უხილავმა აანთო ჩემს სულში სანთელი სიცოცხლისა.

ეს ღვთაებრივი სხივი ღვივის ჩემს სულში.

დიდხანს ვიდოდი მეც ქვეყნად... სინათლის სხივთა კონა თანდათან ძლიერდებოდა.

მაგრამ ვილაცამ ამ სინათლის ჩაქრობა მოინდომა, მხოლოდ არ ჩაქრა ის, ისევ ძველებურად ისროდა ირგვლივ სხივთა ისრებს.

„ის სანთელი რომ ჩამქრალიყო, რა იქნებოდა? — ჩამჩურჩულა იდუმალმა ხმამ, — რა იქნებოდა? რომ ცოცხლობ, რისთვისა ცოცხლობ და რომ მომკვდარიყავ, ვის რა დააკლდებოდა?"

მე პასუხი ვერ გავეცი იმ იდუმალ ხმას. დავფიქრდი... დავფიქრდი... დავფიქრდი და მაშინ მივხვდი, რომ უხილავმა, როდესაც აანთო ჩემში სანთელი სიცოცხლისა, არა თქვა, თუ რისთვის ანათოს, ან ვის უნათოს მან. დიახ, მას არ უთქვამს ჩემთვის, თუ რა იყო მიზანი ჩემი ქვეყნად მოსვლისა.

და მე არ ვიცოდი!

„არ იცოდი? — მეძახდა იდუმალი ხმა — გაიგე, ეძიე...“

და მე გეძებ შენ, უხილავო, გეძებ ყველგან — სამლოცველოში, სადაც მუხლმოდრეკილნი ცხარე ცრემლის ფრქვევით გევედრებიან და მადლობას გწირავენ; ბუნების წიაღში — ტყეში, სადაც იდუმალი მყუდროება სუფევს; მინდორ-ველში, სადაც გაზაფხულის სიო ყვავილებისაგან გაგზავნილ კოცნას ტყისაკენ მიაქროლებს; სადაც ცივი ზამთრის ქარი ხარხარებს და სისინებს, თითქოს მცივანთა და მაშვრალთ დასცინისო; ზღვისა და მდინარის პირას, სადაც მოუსვენარი, ლურჯი, აქაფებული ტალღები ერთმანეთს ხვდებიან; გეძებ, უხილავო, გეძებ, რომ გკითხო — რა იყო მიზეზი ჩემი გაჩენისა, რა არის მიზეზი ჩემი ცხოვრებისა?

მაგრამ ვერსად გიხილე... შენ მე დამტოვე... შენ მე გამაჩინე და მიმატოვე.

მე გეძებდი შენ, ხოლო დემონი თან დამდევდა. მოდიოდა ჩემს სარეცელთან და ტკბილი ხმით ჩამჩურჩულებდა:

— ყველაფერს, ყველაფერს, რასაც კი მოისურვებ, მოგცემ შენ, თუ ჩემი გზით ივლი,

ვინაიდან მე ვარ ღმერთი სინათლისა, ღმერთი კვლევისა და ძიებისა. მომყევ მე და მაშინ იხილავ, თუ რა არის სიცოცხლე. რისთვის მოხველ ქვეყნად. წამო, წამო... ავხსნი ფარდას ყველა საიდუმლოებას, ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს გაიგებ...

მე კი გელოდი, უხილავო, რათა შენ აგეხსნა ჩემთვის ამოცანა სიცოცხლისა, მაგრამ ვერ გიპოვე. შენ კი არ მოხველ ჩემთან. დემონი კი ისევ ჩამომძახებდა:

— მე, მე აგიხსნი საიდუმლოებას...

გეძებდი, უხილავო, და ვერ გიპოვე შენ...

მაგრამ თუ შენ უხილავად ბუნების ყოველ კუთხეში სუფევ, მე აი აქ, ამ ძველი ტაძრის ნანგრევებზე ვიდრეკ მუხლს შენ წინაშე, ყოვლად შემძლებელო, და შენი მონა და შენი ფეხთა მტვერი გევედრები, მიპასუხო:

— რისთვის გამაჩინე, რად განსაზღვრე სიცოცხლე ჩემი, გევედრები, განმიმარტე მიზანი ჩემი ცხოვრებისა...

— არ მაძლევ პასუხს?

მაშ ისევ უნდა ვიარო ქვეყნად, ვით წყვდიადით მოცულ უდაბნოში? მაშ ვერ ავხსნა მიზანი ცხოვრებისა, ვერ ვიპოვო ძალა სიკვდილზე ძლიერი?

როდემდის?

ისევ შენ, შენ მოგმართავ, დემონო, ღმერთო კვლევისა და ძიებისა. შენ მომეც ძალა, გავუმკლავდე ულმობელ სიკვდილს, ახადე ფარდა საიდუმლოებათა შენთა, ჩამოხსენ შავი რიდე შენს სამეფოში შესასვლელ კარებს... მასწავლე, როგორ შევებრძოლო სიკვდილის შავ აჩრდილს, მაჩვენე გზა, რომლითაც ჯან-ღონით სავსემ ვიბრძოლო და გავხსნა ჯადოსნური კვანძი ჩემი ცხოვრებისა.

მე შენთან მოველ.

დაე, იგრგვინოს ცამ, იმრისხანოს, აენთოს ცეცხლად — მე მან ვერ მომცა, რაც უნდოდა სულს დაობლებულს; მან არ გამოსცა რამ პასუხი მაძიებელ სულს.

ან სხვა გზით ვივლი...

კვლავ ვძებნი ყოფნის გასაღებს და გარდავქმნი სულს...

1915

ისინი ცხოვრებას ქმნიან

უთვალავი იყო მათი რიცხვი და აუტანელი მათი შრომა. ბუნების უმშვენიერეს კუთხეში მოეყარათ მათ თავი და მუშაობდნენ.

ქალაქს აშენებდნენ ისინი.

მაგრამ ქალაქი იგი უნდა ყოფილიყო შეუდარებელი სილამაზისა. მზის სხივებზე უნდა ებრწყინათ ძვირფას ქვებისგან ნაშენ სახლებს, ხოლო ქუჩის კუთხეებში ძეგლები უნდა მდგარიყო, სახელოვან მიწის შვილთა სადიდებლად.

და შრომობდნენ ადამიანები და ამშვენებდნენ ქალაქსა მას... მზად იყო ყოველივე, მხოლოდ ერთი ტაძარი, ტაძარი ხელოვნებისა არ იყო დამთავრებული...

ტაძარი იგი კი თვალი იყო ქალაქისა. კაცობრიობას არ ენახა მასზე ულამაზესი რამ... გენია მიწის შვილთა სავსებით გაიშალა ამ ტაძრის აშენებაში...

დიდხანს, ძლიერ დიდხანს აშენებდნენ ადამიანები ამ ტაძარს. მრავალი კაცი მუშაობდა და მოკლე ხანში უნდა დაემთავრებინათ.

და დამთავრდა ტაძარი იგი... მიაღწია ხალხმა საწადელს...

შემდეგ გავიდა ხალხი ქალაქის გარეთ, მახლობელ მთაზე და დაუწყო ცქერა თავის ქმნილებას. ხალხი სტკბებოდა ქალაქის ცქერით, აღტაცებაში მოდიოდა ხელოვნების ტაძრის სიმშვენიერით.

გავიდა ხანი...

ერთ დღეს, როცა ხალხი ქალაქის გარეთ გასულიყო და ტაძრის მშვენიერების შორიდან ცქერით სტკბებოდა, ერთმა ხუროთმოძღვარმა მეგობარს უთხრა:

— ხედავ, აი, იმ გუმბათის წვერი რომ ცოტათი მაღალი იყოს და კუთხიანი, უფრო ლამაზი იქნებოდა...

მეგობარი მას დაეთანხმა — მართლაც ასე აჯობებდაო...

შემდეგ ხალხმა უფრო მეტი ნაკლი შეამჩნია თავის ქმნილებას და ბოლოს თვით ხელოვნების ტაძარს, იმ ტაძარს, რომლის აგებას ადამიანებმა საუკუნეები მოანდომეს — ხელოვნების იმ ტაძარსაც ნაკლი უნახეს...

დაიჩრდილა სილამაზე შენობათა და გაისმა ხმები:

— ავაშენოთ ახალი... აი, იქ, მაღლობზე ავაგოთ ახალი ტაძარი, თვით ზეცას რომ გუმბათით მიებჯინოს!

— ავაშენოთ ახალი, ხოლო ძველი დავანგრიოთ; მხოლოდ ძველის ნანგრევებზე აღმოცენდება ახალი!

და ისმოდა ყვირილი, და ვერ გადაეწყვიტათ ადამიანთ, თუ რა ექნათ.

— არა, ძველის ნანგრევებზე უნდა ავაგოთ ახალი! — ყვიროდნენ ერთნი და გამოჰქონდათ გამანადგურებელი იარაღები.

— არა, ნუ, ნუ ვიქმნთ მაგას! — გაიძახოდნენ მეორენი, მაგრამ არავის ესმოდა მათი.

ზარბაზნები ანადგურებდა ქალაქს... ათასი წლის ნაშრომ-ნაღვაწი სულ ცოტა ხნის განმავლობაში მტვრად აქციეს... ანგრევდნენ სახლებს, ანგრევდნენ ძეგლებს...

სწვავდნენ და ანადგურებდნენ, რაც რამ მშვენიერი და ლამაზი იყო ქალაქში...

და ხედავდა ყველა ამას უცნობი კაცი, მოსული უცხო, შორეული ქვეყნიდან, და ასე იკითხა მან:

— რასა შვრებიან ისინი, რასა?

და უპასუხა მას ვინმემ ხალხიდან:

— ისინი ცხოვრებას ქმნიან...

— ცხოვრებას?!

— დიაღ, ცხოვრებას ქმნიან ისინი. ჩვენ ათასი წლობით ვაშენებთ და ვამშვენიერებთ ჩვენს წმიდათაწმიდას... ვშრომობთ, ვიღწვით და მიზნისაკენ მივისწრაფვით... და როცა მიზანს მივაღწევთ, ჩვენ ვჩერდებით. ვანგრევთ ჩვენს წმიდათა წმიდას და ძველი ტაძრის ნანგრევებზე ახალს ვაგებთ... ახალ ღმერთსა ვცემთ თაყვანს. შენ ხომ ხედავდი მშვენიერების ტაძარს, ახლა მას ვანგრევთ... და არ ვნაღვლობთ, რომ ვანგრევთ... ჩვენ ის განა არ გვიყვარდა, მაგრამ განა სიყვარულისთვის შეჩერდება ცხოვრების მსვლელობა?.. ჩვენ ის უნდა დაგვენგრია, რომ ისევ დაგვეწყო... და ისევ ამოძრავებულიყო ცხოვრება... მხოლოდ ჩვენ ამ ძველს ვანგრევთ ახალის სახელით, მშვენიერებას ვანადგურებთ უფრო მშვენიერის გულისათვის. და ასე მივდივართ... დიახ, ეს არის ქმნა ცხოვრებისა და ხედავ, ისინი ქმნიან ცხოვრებას...

და ისმოდა ხრიალ-ხრიალი და ინგრეოდა ტაძარი იგი მშვენიერი...

— ისინი ცხოვრებასა ქმნიან, ათასი წლობით ნაშრომს ერთ წუთში ანადგურებენ, რომ ისევ ხელახლა დაიწყონ შრომა, ცხოვრება?!

და უცნობმა კაცმა, მოსულმა შორეული უცხო ქვეყნიდან, თავი ჩაღუნა და განშორდა ადამიანთ, რომელნიც აშენებენ იმისათვის, რომ ბოლოს გაანადგურონ, უყვართ იმიტომ, რომ მალე შეიძულონ.

1915

წუთები ცხოვრებისა

— შვილო, შვილო!.. — ისმოდა შვილის სიკვდილით გულდათუთქული დედის მწარე ქვითინი, — შვილო!

სწუხდა დედა, მწარე ცრემლებს აფრქვევდა...

მწუხარება იყო ჩაქსოვილი მუსიკის მკვნესარე ჰანგებში... კვნესოდა მუსიკა... სტიროდნენ ათრთოლებული ხმები.

ხალხი ნელ-ნელა მიჰყვებოდა ახალგაზრდა ვაჟის ცხედარს, ამხანაგები გარს ერტყენ უდროოდ დაკარგულის კუბოს. ჩაქრა უდროოდ ლამპარი ცხოვრებისა. სიკვდილის ბასრმა ცელმა გასჭრა ძაფი ახალგაზრდა სიცოცხლისა. ახლად გათხრილი სამარე უცდიდა მას. გაუმაძღარი მიწა ელოდა თავის შვილს.

აი, სასაფლაოც...

შეწყდა მუსიკის ხმები. შეჩერდა ხალხი და თავმოხდილი საფლავთან გაჩერდა.

დედის გულშემზარავი „შვილო“ ისევ გაისმოდა ირგვლივ...

* * *

— ბიჭო, ვასო! მგონია ვილაცას ასვენებენ. გაიტანე ერთი დოქი წყალი, სიცხეა, იყიდიან, იქნება ორი კაპიკი აიღო, — უთხრა პატარა ვასოს მამამ.

ვასომ უცბად აავსო დოქი ცივი წყლით, წამოავლო ჭიქას ხელი და გაექანა სასაფ-ლაოსაკენ...

* * *

„საუკუნოდ იყოს ხსენება მისი", — გაის-მის სამლოცველო ხმები. სამგლოვიარო ჰიმნს უკრავს მუსიკა. ყველას ცრემლი მოსდის... „შვილო, შვილო", — ქვითინებს გულდამწვარი დედა.

— ცივი წყალი, აბა კარგი ცივი წყალი, ბატონებო, — გაისმის ვასოს ხმა, — ცივი წყალი.

ის გარბის ხალხში და აგროვებს კაპიკებს.

დაიშალა ხალხი.

* * *

— იშოვე, ბიჭო, რამე? — ჰკითხა მამამ ვასოს.

— აი, — და მან სიცილით დაირტყა ჯიბეზე ხელი, — აი, ერთი, ორი, სამი... ერთი აბაზია სულ.

— ბიჭოს! გივარგია. წადი და იყიდე ახლა ის რვეული, გუშინ რომ მთხოვდი... წადი.

ბავშვი სიცილით გაექანა დუქნისაკენ რვეულის საყიდლად.

მახლობელ სასაფლაოდან კი ისევ მოისმოდა ქვითინი და გოდება ბედშავი დედისა:

— შვილო, გენაცვალე, შვილო!

1915

ყოველივე წარმავალია

ღამე იყო...

ის იჯდა თავის საწერ მაგიდასთან და ფიქრობდა. სანთლის გარშემო პეპლები დაფარფატობდნენ, ეხვეოდნენ, არ სცილდებოდნენ მას, თუმცა ნაზი ფრთები ალზე ეწვოდათ. ის მისჩერებოდა ამ სინათლეს და ფიქრობდა, ხოლო ფიქრი მისი შორს იყო. ფიქრში გართული არც კი გრძნობდა, რომ ამ პატარა, ღარიბად მორთულ ოთახში იჯდა... ბედნიერად გრძნობდა ის ახლა თავის თავს. მასაც გაუღიმა ბედმა, მისკენაც მოიხედა, მისი მწყალობელიც გახდა.

ის ცნობილი მწერალი შეიქნა.

სახელი და დიდება ახლა მასაც ჰქონდა.

ყველა კითხულობდა მის ნაწერებს. ის ახალგაზრდობის სათაყვანებელი კერპი გახდა და თანამედროვე ლიტერატურის მნათობთა შორის საპატიო ადგილი დაიჭირა.

მან მიზანს მიაღწია და მხიარული, ბედნიერი იყო ამით, ფიქრის ფრთებზე დაფრინავდა ოცნებათა სამეფოში... სიამოვნების ღიმილი ქროდა მის ტუჩებზე... ის ახლა სიყ-

ვარულსაც ელოდა. და იმედი ჰქონდა, რომ საყვარელი არსება მასაც შეიყვარებდა. მისი ბედნიერება ხომ მაშინ განუსაზღვრელი იქნებოდა?

ამგვარ ფიქრში ჩაეძინა მას იმ ღამეს.

* * *

განვლო ცოტა ხანმა.

ის არ მოტყუვდა. სატრფიალო არსებამ მას სიყვარულითვე უპასუხა და არ უჩანდა საზღვარი მის ბედნიერებას.

მისი ახლანდელი ბინა აღარ ჰგავდა ძველ, მყუდროებით მოცულ ბინას, რომელშიაც მხოლოდ მისი საკუთარი ფეხის ხმის მეტი არა ისმოდა.

ახლა ის მდიდრულად მორთულ სახლში ცხოვრობდა. ყოველ ღამე ბრწყინვალედ განათებულ ოთახებში ნახავდით ლამაზად ჩაცმულ ქალ-ვაჟს, რომელნიც ტკბილ მუსიკის ჰანგებზე ნელა ფეხს უწყობდნენ და მისრიალებდნენ მოელვარე იატაკზე. დაიწყო მხიარულება და ნადიმი მის სახლში და ბედნიერი იყო იგი.

* * *

მეგობრები გარს ეხვივნენ შინ და გარეთ... ართობდნენ მას, რჩევა-დარიგებას აძლევდნენ საჭიროების დროს და ყოველთვის ერთგულებას იჩენდნენ.

მასაც უყვარდა, გულწრფელად უყვარდა ისინი და არა ერთჯერ უფიქრია, მათთვის თუნდაც ცეცხლშიაც გავივლიო...

* * *

განვლო დრომ. საშინელმა, ულმობელმა დრომ... დრომ მოსტაცა მას დიდება და სახელი, გააქრო ვით ნისლი მზიან დღეში, ვით კვამლი ცის სივრცეში... დიდება და სახელი ისე უცბად გაქრნენ, როგორადაც უეცრად და მოულოდნელად მოვიდნენ.

თანდათან ავიწყდებოდა ის ყველას... ბოლოს ტალღამ დავიწყებისამ მას სულ გადაუარა, ის თითქოს ცოცხლად დამარხულს დაემსგავსა. ყველამ ზურგი შეაქცია...

ერთგული მეგობრები, რომელნიც მისი ხშირი სტუმრები იყვნენ, რომელნიც მას ყოველ

წუთს თავის ერთგულებას უმტკიცებდნენ, ისინიც ჩამოშორდნენ, მათაც მიატოვეს.

და როცა ის ქუჩის ერთ მხარეზე მიდიოდა, თუ იმავე მხრით მომავალი მისი ყოფილი მეგობარი შეხედავდა, ის მეორე მხარეს გადმოდიოდა, თვალს არიდებდა.

საყვარელმა არსებამაც მიატოვა იგი... სახელთან ერთად სიყვარულიც გაქრა... სახელთან ერთად მან სიყვარულიც დაასამარა...

გაქრა მისი სიმდიდრეც... ღარიბმა შემოდგა ფეხი ცხოვრებაში და ისევ ღარიბი ეთხოვებოდა მას.

* * *

და გაქრა ყოველივე...

დარჩა ის მარტო... მის პატარა ოთახში სანთელიც არ ენთო ხშირად... მყუდროება სუფევდა შიგ. მხოლოდ ხანდისხან ისმოდა მძიმე ხველა მისუსტებული ადამიანისა და ნელი კვნესა. ის ახლა იწვა. იწვა და სულ ფიქრობდა. მხოლოდ მისი ფიქრების საგანი ახლა წარსული იყო. მოგონებანიღა ასულდგმულებდა მას. მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ

შერიგებოდა იმ აზრს, რომ წარსული აღარ დაბრუნდება, რომ ის, ახლა ყველასაგან მი-ვიწყებული, კვლავ არ აღსდგება, არ გაახ-სენებს საზოგადოებას თავს, არ იტყვის უკა-ნასკნელ სიტყვას, ვით გედი სასიკვდილოდ განწირული!

ღამის წილ დღე დგებოდა, დღის წილ კიდევ ღამე... და ასე ერთფეროვნად მიდიო-და დრო...

გაზაფხულის დილა იყო...

დილის მზე უხვად აფრქვევდა სამყაროს თავის ცხოველმყოფელ სხივებს. თანასწორად ათბობდა და უნათებდა იგი ყოველსა და ყვე-ლაფერს... და სამყაროც ხალისობდა... მის ოთახშიაც შეიჭრა ოქროს სხივთა კონა და გაანათა იგი, ბნელით მოცული.

ის იწვა, უძრავი იყო სხეული მისი... ამაოდ ეთამაშებოდნენ მას მზის სხივები, ამაოდ ეძახდნენ სიცოცხლისაკენ... ის უძრავი იყო. მის გაციებულ მიწისფერ სახეს ველარ ათ-ბობდნენ მზის სხივები...

სანოლის წინ მაგიდაზე სანათი იდგა... სა-წერელი... იქვე იდო ქაღალდიც... ზედ არაფერი ეწერა გარდა სუსტი ხელით გამოყ-

ვანილი ორი სიტყვისა: „ყოველივე წარმავალია“.

ალბათ, ეს მისი ახალი ნაწარმოების სათაური იყო...

მაგრამ სასტიკ სიკვდილს არ ეცლია მისთვის, მას აღარ დასცლოდა უკანასკნელი სიტყვის თქმა...

და მზით განათებულ საწოლზე ახლა მისი უსულო გვამიღა იდო...

სიზმარი

მე მაშინ მეძინა... ღრმად მეძინა და სიზმარში ვიყავი და სიზმარი იგი იყო საშინელი, შემზარავი და ცივი ოფლი მდიოდა ტანზე...

მესიზმრა, ვითომ თვალგადაუწვდენელ დაბლობზე ვიდექი. ირგვლივ არავითარი მცენარეულობა არ იზრდებოდა. მხოლოდ შორს, იქ, სადაც მიწა ზეცას უერთდება, მოჩანდა შორეული ტყის ზოლი, მოჩანდა კვამლი, ვით ნისლი მიწისაგან ანაორთქლი...

მეორე მხრივ კი ზღვა მოჩანდა, მაგრამ ზღვა თითქოს შეზრდოდა ხმელეთს და ვერ გაარჩევდი, სად იწყებოდა ზღვა, სად მთავრდებოდა ხმელეთი...

და ირგვლივ სიჩუმე იყო.

არ ისმოდა არავითარ არსთა ხმა და მე — ერთადერთი სულიერი, რაღაც განგებით ამ უდაბნოში გადმოვარდნილი, ვიდექი ერთ ალაგას და გავსცქეროდი თვალგადაუწვდენელ სივრცეს. ვიდექი და შიშის ჟრუანტელი მივლიდა ტანში. მეშინოდა ამ მარტოობისა, მეშინოდა ჩემი ხმისა, ჩემი ლანდისა, მეშინოდა

თვით ჩემი თავისა... და შიშის გასაქარვებლად ვინყე სირბილი...

ვიდოდი დღით, ვიდოდი ღამით, ვიდოდი მზისა და ვარსკვლავთა სინათლეზე... და მშიერი, მნყურვალი, დაქანცული და ღონე-მიხდილი მივედი იქ, სადაც ზღვა ხმელეთს პირსა ჰბანდა... სადაც იწყებოდა უღრანი ტყე და იკარგებოდა ნასახი მხეცთა მიერ თელილი გზისა.

და ვიჯექი ხის ძირას და გავსცქეროდი მზის სხივებზე მოელვარე ზურმუხტის ზღვას.

ნერტილი რაღაც გამოჩნდა ზღვაზე. იზრდებოდა წერტილი და იგი უახლოვდებო-და ნაპირს ზღვისას.

და მოადგა ნავი ნაპირსა მას.

შიგ სამი მხედარი იჯდა მკაცრი, საშინე-ლი სახისა, რკინასა და ფოლადში ჩამჯდარი და შუაზე მათ ქალი ეჯდათ, შვენება ქალი, შვილი ზეცისა, მინაზე ჩამოფრენილი.

და გადმოსვეს მხედართ ქალი იგი ნაპირ-სა ზედა, ანამეს. შეურაცხყვეს, ნამუსი ახა-დეს და დააგდეს ზღვის პირას და გაეშურნენ ნავისაკენ. მაგრამ მობრუნდა ერთი ვნებით შეშლილი, ვნებით მთვრალი მხედარი, იძრო

დანა, დასცა გულს მდელოზე დაგდებულ ქალს.

იკვივლა ერთი სუსტად და იფეთქა ანკარა სისხლმა ასულის მკერდიდან და წითლად შეღება მდელო იგი...

— მოკვდა, მოკვდა.

და წამოვიჭერ ზეზე. მივვარდი ქალწულს... ის კვდებოდა.

— როგორ გიშველო, უბედურო, როგორ?

და გადმომხედა მან დიდრონი თვალებით და თქვა ნელი ხმითა:

— ველარ, ველარ მიშველი... მოვკვდები და არ არს საშველი ჩემი. ოდესმე აღვსდგები... მაგრამ... მანამდე საჭიროა ის მტარვალები აქ მოვიდნენ თავისი ნებით. სინანულის ცრემლით განბანონ სისხლი მათ მიერ დანთხეული. და მისცენ მათ ერთმანეთს ფიცი საშინელი, რომ არასოდეს დაიღვრება მათგან წმიდა სისხლი ადამიანისა, არ დაიჩაგრება მათ მიერ არსება სუსტი და უძლური... და მაშინ... სული ჩემი ისევ აღადგენს სხეულსა ჩემსა... — და მან ველარ დაამთავრა სათქმელი, ჩაქრა სანთელი, შავი ფრთა სიკვდილისა გადაეფარა მის სხეულს.

* * *

და ვგოდებდი მე და არ ჰქონდა საზღვარი ნუხილსა ჩემსა.

ავედი ხეზე და ვიძახდი... ვუხმობდი ადამიანთ, ვუხმობდი ნარსულ მხედართ, რათა შეებრალებინათ ეს საერთო ქმნილება ზეცისა და მიწისა... მაგრამ არავის ესმოდა ჩემი ძახილი... ჩემი ხმა იკარგებოდა... ქრებოდა... თითქოს არ მეყვიროს, თითქოს არ მეძახოს...

მაგრამ კიდევ ვიყვირე... მოვიკრიბე ძალა და ვიყვირე... და გამომეღვიძა.

* * *

მომცვივდნენ შინაურები.

— რა იყო, რა დაგმართვია, რა მოხდა? — მე კი ვერ განმეშორებინა ტანჯული სახე ქალწულისა და თითქოს შეშლილი ვიძახდი:

— მოკვდა... მოკლეს... მტარვალები...

შინაურები კი ისევ მეძახდნენ:

— ადექ, ადექ, აღდგომაა.

ისმოდა მხიარული კოცნა, „ქრისტე აღსდგა“, ოთახში ზარების გრიალი შემოდიოდა. ახმაურებულიყო გაღვიძებული ქალაქი.

— ქრისტე აღსდგა, შვილო... ქრისტეს აღდგომააო, — მეუბნებოდნენ მე.

— მოკვდა... მოკვდა, — ვბუტბუტებდი მე და ნელ-ნელა ვიცვამდი...

გაკვირვებით მიყურებდნენ და ვერ გაეგოთ, თუ რა დამემართა. და ვერავის ვახარე იმ დილას მე ქრისტეს აღდგომა. და ვერც დავიჯერე ნათქვამი სხვისი და ვერ, ვერ ვთქვი — „ჭეშმარიტად“.

* * *

ვით ვთქვა მე სასიხარულო სიტყვები: „გიხაროდესთ, აღსდგა ქრისტე“. როგორ ვთქვა მე ეს?

ვერა, მე ვერ ვიტყვი ამას... ის მოკლეს ვერაგებმა... მოკლეს მშვენიერება და ვით ვთქვა მე აღსდგა-თქო.

არა, ჯერ მშვენება იგი, სიმბოლო ცხოვრებისა, მკვდარია... ჯერ ისევ თბილი სისხლი მოსდის მას განგმირული მკერდიდან...

შევერთდეთ... ვიბრძოლოთ და მოვუწოდოთ ყველას... და შევასრულოთ ანდერძი ღვთაებრივ მშვენიერისა...

და იქნებ აღსდგეს ის... იქნებ აღსდგეს ის — მშვენება და სილამაზე ქვეყნისა.

— და ყველამ ვსთქვათ მაშინ: „აღსდგა, აღსდგა, გიხაროდენ-თქო“.

ყველამ ჩამოვკრათ სიხარულის ზარს, შვებითა და სიხარულით მივულოცოთ ერთმა მეორეს **მისი** და **ჩვენი** აღდგომა.

და მეც ვიტყვი მაშინ, რომ ის აღსდგა, ვიტყვი:

— აღსდგა ჭეშმარიტად.

და ჯერ კი...

1915

„MEMENTO MORI“

ბორცვებიან ნაპირიდან მისცურავს პატარა ნავი მობობოქრე ზღვის შორეულ ტალღებში.

მისრიალებს ნავი მჩქეფარე ტალღათა შორის... ის თითქოს ტალღად გადაქცეულა, ისე ევლება თავზე მაცდურ აქოჩრილ ტალღებს...

მისცურავს ნავი და ეთხოვება იგი შორეულ ნაპირებს... მიწას... ეთხოვება მის მშვენიერ ამწვანებულ მდელოებს, მის მედიდურ მთებსა და დაფიქრებულ ტყეებს, მოჩხრიალე ნაკადულებსა და დინჯად მსრბოლ მდინარეებს... ყველაფერს სტოვებს ნავი... ყველაფერი ეთხოვება მას... ხოლო ვერ სცილდება მას, ნაპირებისაგან განშორებულს, საღამოს სუნთქვა — ცელქი ნიავი. და თითქოს ძილში, თითქოს სიზმარში ჩასჩურჩულებს გულად მეზღვაურებს:

— გახსოვდეთ სიკვდილი!

—

ტკბილად მღერის წალკოტზე ბუნების შვილი. მისი ხმათა ბგერა ატკბობს ყოველივე

არსს და უსმენენ ისინი მონარნარე ხმებს, ვით გველი სალამურის კვნესას... ამ სიმღერაშიაც ისმის მწარე კვნესა გულისა... დარდი და ვარამი მიწის შვილებისა... და ნაღვლიანად იცქირება ყოველივე. ცხოველთა და ადამიანთ მორევიათ რაღაც სევდა... ტყესაც მძიმედ დაუხრია თავისი მწვანე ქოჩრიანი თავი. ყველა სევდით შეუპყრია მომღერალის ჯადოსნურ სიმღერას, ხოლო ამ სიმღერის აკორდებში გამოისმის ორი სიტყვა, რომელსაც ვერასოდეს ვერ ივიწყებს ადამიანი:

— *გახსოვდეს სიკვდილი... გახსოვდეს...*

—

როდესაც გაცივდება პირველი კოცნა შეყვარებულთა, როდესაც ბედნიერების „ლურჯი ჩიტი" უკვე დაჭერილი ჰყავთ, როდესაც სიყვარულის ნაზი ფრთებით ისინი ფრენენ საოცნებო ქვეყანაში და ბედნიერებისა და ნეტარების ჰიმნსა ქმნიან — მათ სიტყვასა და მღერას სწამლავს იგივე ხმები, იგივე სიტყვები არღვევს სიყვარულით შექმნილ ჰარმონიას:

— *გახსოვდეს სიკვდილი!*

—

როდესაც სამარადისო მზე ნელნელა აშორებს ოქროს სხივებს საყვარელ დედამიწას, როდესაც საიდუმლო ბინდი მოიცავს მიწის სივრცეს და შავი ღამე სუდარასავით გადაეფარება მთვლემარე მიწას — მაშინაც ნელი სიო ძილს უფრთხობს დაღლილ ქვეყანას და ჩასძახის დაჟინებით:

— *გახსოვდეს, გახსოვდეს სიკვდილი...*

—

როდესაც აყვავებულ-ამწვანებული ბუნება ლაღობს და ნეტარობს, როდესაც ყოველი არსი მადლობითა და დიდებით იხსენიებს სახელს მიუწდომელი უხილავისას, როდესაც ყოველივე თავდავიწყებით დასწაფებია დაუშრეტელს ნექტარს სიცოცხლისას, — ელვის სისწრაფით დაივლის მთელს სამყაროს გველის სისინის მსგავსი ხმა:

— *გახსოვდეს სიკვდილი, გახსოვდეს...*

—

როდესაც ადამიანს პირველად თვალები აეხილება, როდესაც შორეულ, უცხო და გამოუცნობ ქვეყნიდან შემოდგამს ის ფეხს ამა ცხოვრების ბჭესა, როდესაც მას ნეტარე-

ბისა და სიამოვნების თვალით შეჰყურებენ მშობლები და ახლობელნი, ავედრებენ მას უხილავს და უსურვებენ დღეგრძელობას, — არც მას შორდება ეს საიდუმლო ხმები... პირველი ხმა, რომელიც შემოესმის მას ამა ქვეყანად, არის ის საშინელი სიტყვები... და სტირის, სტირის ნორჩი ადამიანი... ჰგოდებს, რომ სიცოცხლის კარებთანვე ჰხვდება მას საშინელი აჩრდილი და ჯოჯოხეთური ღიმილით ჩასჩურჩულებს მას:

— *გახსოვდეს სიკვდილი...*

—

ფართო და ლამაზია ქვეყანა... მშვენიერი და წარმტაცია ცხოვრება! მაგრამ ვით მზის სითბო-სინათლეს ასუსტებს ზეცათ გაკრული შავი ღრუბლები, ვით ცივი ზამთარი ადუნებს და ანელებს ძგერას ბუნებისას, ისე ანელებს და ასუსტებს ალსა და სილამაზეს ცხოვრებისას ეს ძახილი... და ევლება გარს საშინელი ხმები ტანჯულ მიწას და ისმის კიდით კიდემდე ერთი ხმა:

— *გახსოვდეთ, გახსოვდეთ სიკვდილი...*

— „Memento mori"!

1916

მთის მდინარე

მიყვარს, მიყვარს შენი შეუწყვეტელი ხმაური, შენი მუდმივი ბრძოლა, შენი მქუხარე, უკმაყოფილებით სავსე ხმა.

მე ყურს ვუგდებ შენს ბრძოლის ჰიმნს, შენს იმედიან სიტყვებს. ვხედავ შენს უკმაყოფილებას ამ კალაპოტისადმი. ვხედავ, თუ როგორ ებრძვი შენ მას, როგორ გსურს შეანძრიო ქვები მის ფსკერზე, დაამხო ის და თავისუფლად სავლელი გზა გაიკაფო... ვხედავ ყველა ამას და გული მიმაგრდება, იმედით მევსება — მე მაგალითს ვხედავ ბრძოლაში შეუდრეკელობისას...

მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როცა შენს ნაპირებს შემოვეჩვიე; შენ ეგეთი გიჟმაჟი, ეგეთივე შეუდრეკელი იყავი მაშინაც. მაშინაც ეგეთივე სისასტიკით და თავგამოდებით ებრძოდი ამ სულის შემხუთველ ნაპირებს, კლდეებს.

მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო. ჩემი არსება ბრძოლით მოიღალა, შენ კი?.. შენ კი ისევ იბრძვი, ისევ ახალგაზრდულად ეხეთქები შეუპოვარ კლდეებს, ისევ ძველი გამამ-

ხნევებელი ჰანგები ისმის შენს სიმღერაში. დიახ, შენ მუდამ ახალგაზრდა ხარ, მოუსვენარი, დაუღალავი, შეუდრეკელი...

დაბადებიდან, იმ დროიდან, რაც ფეხი აიდგი ამ მთის კალთებზე, მას შემდეგ შენი ხმა არ შეწყვეტილა. შენ ისე არ გაგიქანებია შენი ლურჯი ტალღა, რომ კლდე-ნაპირისათვის არ მიგეხეთქებინა.

მიყვარხარ!..

მიყვარხარ იმიტომ, რომ იბრძვი, რომ შენი სული ვერ შერიგებია მყუდროებას, რომ მოძრაობ, ცოცხლობ...

ცოცხლობ და კვდები, ჰკლავ და სიცოცხლეს ანიჭებ...

ამისათვის მიყვარს შენი იდუმალი ხმა, გაუგებარო, მიყვარს ისე, როგორც გაუგებარი, მაგრამ წარმტაცი სრბოლა ცხოვრების ტალღებისა...

1916

მდუმარება

(შორეულ მეგობარს)

როდესაც ჩვენ ბნელით მოცულ ოთახში ერთად ვზივართ და მხოლოდ თვალთა სხივით ვწვდებით სიღრმეს ურთერთის სულისას და სული ჩემი შენს სულს უახლოვდება, მე მსურს, მეგობარო, გაუნყო გულისნადები ჩემი, მინდა შეგატყობინო, თუ რას ეძიებს აზრი ჩემი, რას ეძახის დაობლებული სული ჩემი.

მინდა, მაგრამ...

ვდუმვარ, მეგობარო, რადგან სუსტია სიტყვა გადმოგცეს ძახილი ჩემი სულისა; მას არ ძალუძს გამოხატოს გრძნობათა ღელვა.

ბნელია კუთხე ადამიანის გულისა და სუსტი სიტყვა ვერ გაანათებს მას. არ ძალმიძს ეს მე, მეგობარო, და ვდუმვარ... ვდუმვარ.

ვდუმვართ ჩვენ ორივენი.

მაგრამ იცი, რა დიდია ჯადოსნური სამეფო მდუმარებისა?

და რად გინდა სიტყვა ცბიერი, სიტყვა გესლიანი და მაცდური? უკუაგდე ის. დაე, მდუმარებამ მოიცვას ბაგენი შენნი და ნუ მოშხამავ სიტყვით წმიდა გრძნობათა ნაზ თაიგულს.

ჟამსა მდუმარებისასა გაიგებ შენ, თუ რას ეძახის სული ჩემი. გაიგებ მის სევდას, გაიგებ, თუ რით იტანჯვის გრძნობა და რას ეძიებს დაუღალავი აზრი მაძიებელი ადამიანისა...

და დაკარგულად ჩასთვალე შენ დღენი, როდესაც მდუმარებას არ მოუცავს ბაგენი შენნი, მდუმარებით არ გისაუბრია შენს სულთან...

ნუ გეშინია მდუმარებისა, ვინაიდან იგია დასაბამი ბრწყინვალე საქმეთა, იგია აკვანი წმიდა გრძნობათა გამზრდელ-გამფურჩქვნელი.

დიდია მდუმარება და საშინელიც არის იგი, ვინაიდან მდუმარებაში სწყდება სიმები იმ ზღაპრული ქნარისა, რომელსაც სიცოცხლეს ეძახიან, მდუმარებაში იწერება შავი ფურცლები შენი ცხოვრებისა და სამარადისო მდუმარება შთანთქავს მას.

საშინელია მდუმარება, ვინაიდან ამ მდუმარებაში გაიგონებ შენ ჯოჯოხეთურ ხარხარს

ცხოვრების ჯალათისას და შავი მდუმარება გაქცევს უფერო არარაობად...

მაგრამ მაინც გიყვარდეს მდუმარება, ვინაიდან მხოლოდ მასში ჰპოვებ შენ ძლიერებას შენსას, ვინაიდან მდუმარებით ჩაიხედავ სულის სიღრმეში და დაინახავ სახეს ადამიანისას.

მდუმარებდე შენ, მეგობარო, და დაკარგულად ჩასთვალე ის დღე, როდესაც შავ მდუმარებას არ მოუცავს განუსაზღვრელი სიღრმე შენი სულისა.

და მდუმარებდე შენ, მეგობარო!

1916

მელანქოლია

რა შორს არის ეს ბაღი ქალაქიდან, — „ქალაქის ბაღი“ — კი ჰქვია. უნდა დაგლიჯო ერთი წყვილი ფეხსაცმელი ბაღში მისვლამდე და სახლში ფეხშიშველა დაბრუნდე. ეტყობა, აქაურებს ძლიერ ჰყვარებიათ სიარული. რას იზამ! ისინი ხომ მაწანწალასავით არ იანგარიშებენ, რამდენ ფეხსაცმელს დაგლეჯენ, ან რამდენ კაპიკს ზედმეტს მისცემენ მეეტლეს... სამაგიეროდ უზომოდ ყლაპავენ ქალაქის მტვრით სავსე ფილტვებით ამ ზღვისა და ფიჭვნარის ჰაერს.

მაშ როგორ გეგონა — რისთვის იანგარიშებენ...

კიდევ კარგი, რომ ღმერთს ფილტვებით სუნთქვა გაუჩენია, თორემ მუცლით რომ სუნთქავდნენ, შენი მტერია, შენ არაფერი დაგრჩებოდა. აქ ჩამოსული მოაგარაკენი თითქმის ყველანი ხოლმოგორის ჯიშის არიან — დაუსივებიათ მუცლები და დადიან ნელა-ნელა, თითქოს შიშობენ, მინა არ გაგვისკდესო.

მივდივარ ბაღში და ვესაუბრები ჩემს თავს... აბა, არ ვესაუბრო? მართალი თქვა ტიუტჩევმა.

Молчи, скрывайся и таи
И все-же - кто поймет тебя?

აბა, ვინ გაიგებს ახლა, თუ რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში... იქნება ცეცხლი სრულიადაც არ ტრიალებს, და ჩემს მუცელში, მით უმეტეს, იქნებ სრულიად არაფერიც არა ტრიალებს...

ჰოდა, მიდი და უთხარი ახლა რომელიმე მოსეირნეთაგანს — ჩემს მუცელში არაფერი არ ტრიალებს-თქო...

მაგრამ რაღა ეს ბაღი ამოვირჩიე მეც... ჩამოჯექი აგერ თხრილის პირზე და იოცნებე და იფიქრე, სანამ გსურდეს... ვითომ დიდი სოვდაგარი ხარ ამ ქალაქში, რომ ვინმემ გიცნოს და შეგრცხვეს...

ესეცაა, რომ საეჭვო შეხედულებისა ხარ... მეტად დემოკრატიულად გამოიყურები, მეგობარო, და ვაითუ ერთგულმა ნესიერების დამცველმა გამოგისტუმროს აქ უკანვე...

მოქალაქე ვარო?.. ხა, ხა, ხა, ხა!

ყველა შენისთანა მოქალაქე რომ იყვეს, მალე აშენდება ჩვენი ქვეყანა, მაგრამ რა გაეწყობა... აი, ბაღიც აგეთ არის... აბა, გადაავლე თვალი ამ მოსეირნე ხალხს, როგორ მოგწონს?

მართალი უნდა თქვას კაცმა, მშვენიერება კია ეს ბაღი... შორიდან გრძნობ ფიჭვისა და კვიპაროსის სუნს ყვავილთა სურნელებაში შერეულს. რა ყვავილი გინდა, რომ აქ არ იყოს — წითელი, ვით თავისუფლების სურვილი, თეთრი, ვით სიკვდილის მოგონება, ყვითელი, ვით გაზაფხულის ოცნება. აგერ თითქოს შავი ყვავილებიც კი არის, თეთრი ფერადებით გადახაზული...

როგორი სწორი და შნოიანია კვიპაროსის ხეები. ამბობენ, კვიპაროსის ხე წმიდა კაცის გულზე ამოვიდა პირველადო და, როგორც განსვენებული იყო მართალი და სწორი ცხოვრებაში, მის საფლავზედ ამოსული ხეც სწორად გაიზარდა და ეს თვისება ყველა კვიპაროსის ხეს გადაეცაო... იქნება მართალია ეს ამბავი, იქნება ტყუილი — რას არ გამოიგონებს ადამიანის ოცნება. ლამაზები კი არიან... სალტესავით შემორტყმიან მაღალზე გაშენებულ ბაღს. შტოები ზეცისაკენ მი-

ისწრაფვიან, თითქოს მიწიერი არა უნდათ რაო.

სულ რაღაც გამოურკვეველი ფიქრით არიან გართულნი ეს ხეები და ზღვის სუნთქვასაც ვერ გამოჰყავს ისინი ამ ოცნებისაგან.

დაბლა კი ზღვა გაშლილა. რამდენჯერ ვცდილვარ გარკვევით დამენახა ზღვის ჰორიზონტზე რამე... შეერთებულა ზღვა და ცა... კოცნიან ერთიმეორეს ცივი კოცნით და მეტს ვერაფერს ხედავ, ნაპირზე კი ზღვა ისეთია, თითქოს ახლობელი ვინმე იყოს... გესაუბრება წყნარად, მოგითხრობს შორეულ ამბებს. ხანდისხან გაგულისდება და ფაფარაშლილი ლომივით ეხეთქება ნაპირებს. მაგრამ ისევ მალე წყნარდება, ისევ იწყებს მღერას, რაღაცას მოუთხრობს ნაპირებს, კვიპაროსებს. იქნება აქ მოსეირნე ხალხსაც ეძახის რამეს... ეხ, რას გაიგებს ზღვისას კაცი, ან ამ კვიპაროსებისას რას გაიგებს, ზღვას რომ მაღლიდან გადმოსცქერიან. ესენი ხომ ადამიანები არ არიან, რომ რაიმე გითხრან, გაგაგებინონ...

ხა, ხა, ხა, ხა! განა ადამიანი რამეს გაგაგებინებს, ან გეტყვის რამეს, ან შეგიცოდებს?

გუშინ მე ზღვის ნაპირზე დავხეტიალებდი. ნამოუბერა ქარმა და ქუდი ზღვაში გადამიგდო. ვერ ჩავედი წყალში, დახრჩობის შემეშინდა და განწირულად ჩავთვალე ჩემი ერთგული ქუდი, მაგრამ დახეთ ჩემს გაოცებას — ზღვამ ისევ დამიბრუნა ჩემი სიმდიდრე — გამოაქანა ტალღით და ჩემი ქუდი ქვიშაზე გამორიყა. არ წამართვა... ჰოდა, ასე, შენ უთხარი ადამიანს — თუ მოიგდო რამე ხელთ — რას დაგიბრუნებს!

გუშინ, ზღვის ნაპირზე რომ დუქნებია, მათ ცეცხლი მოედო, სანამ მედუქნე ბერძნები ცეცხლს აქრობდნენ, მათი ხილი მთლად დაიტაცეს ღამეში... როგორ მოგწონს? რას გაიგებ ადამიანის ბუნებას!

ბაღი კი აჭრელებულია ფერადი ტანსაცმელებით — მხიარულად დასეირნობს ყველა.

აგერ ორი ჩასუქებული კაცი მოდის. მძიმედ სუნთქავენ, თამბაქოს აბოლებენ და საუბრობენ. ხანდისხან კი გადახედავენ შორიახლო მიმავალ ქალს, მაგრამ, აბა, რას დაუშლის ეს გადახედვა მეგობრულ ლაპარაკს...

— ჰოდა, ამ ზაფხულზე მე აქ წამოსვლა ვარჩიე. აქ უფრო მოვეწყობი — რკინიგზა არის, ზღვა, ჰაერი. დაისვენებ კაცი.

— რასაკვირველია, — ეუბნება მეორე, — დროს მშვენივრად გავატარებთ, — და მრავალმნიშვნელოვნად გადასცქერის უცნობ ქალს, რომელმაც ახლა მათ ჩაუარა.

— არა, ბატონო, აიღეთ ფიზიკა და დაკვირვებით გადაიკითხეთ, თუ რა წერია შიგ. არ იცით-მეთქი, რომ გეუბნებით, ის არის. მე თუმცა დიდი ხანია გიმნაზია გავათავე, მაგრამ არქიმედის კანონი მაინც მახსოვს, — ეუბნება ახალგაზრდა ქალი გვერდით მიმავალ გიმნაზიელს.

— აბა, სხვა მკითხეთ, თუ არ ვიცი... ეს მგონი ჩვენს წიგნში არ წერია, როგორც მახსოვს...

— ნიუტონის კანონი? — და ქალი თვალებში აცქერდება ყმაწვილს, რომელიც თავს დაბლა ხრის და ნელ-ნელა მიყვება ფიზიკის მცოდნე ცირას.

— რა მშვენიერებაა! — ეუბნება ახალგაზრდა ქალი სტუდენტს.

„მშვენიერებაა, მაშ, მშვენიერებაა, ოცნებაა აქ ყველაფერი და შენ კი დაჯექი ამ ბნელ კუთხეში და იფიქრე რაღაც ცხოვრების შინაარსზე და სხვა ამგვარ სისულელეზე!" — გულმოსულად ჩამძახის ვიღაცა.

— დიახ, დიახ, უნდა იფიქრო, მაშ... უნდა დააკვირდე ამ ხალხს, თუ რითი ცხოვრობს ის, რა აინტერესებს, უნდა გაიგო მაღლიდან. უნდა ამაღლდე ცხოვრებაზე და ობიექტურად შეხედო ყველაფერს.

— აბა, — ამბობს მეორე ხმა.

მელანქოლია... მელანქოლია...

ოხო, ამ ორ ჩასუქებულ კაცს აკი გაუცნიათ ის ქალი, მათ წინ რომ მიდიოდა. ორივეს კმაყოფილება ეტყობა სახეზე, ცოცხლად ლაპარაკობენ...

— როგორ გეკადრებათ? — ამბობს ერთი, — ღამის ათ საათზე ცურაობას რა სჯობია, ჩვენ ყოველთვის ათზე ან ცხრა საათზე ვცურაობდით ხოლმე... შარშან აქ ოჯახობა მყავდა, ათ საათზე ვცურაობდით ყოველდღე... მშვენიერი წყალია...

— საინტერესოა, — ღიმილით უპასუხებს ქალი, — მე კი არ მეგონა, თუ აქ ღამის ათ საათზე შეიძლება ცურაობა. სად შეიძლება იცურაოს კაცმა? — განაგრძობს ის ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, — მეც ვიცურავებდი, თუმცა ძალიან მეშინია...

— რას ბრძანებთ! — ერთხმად იკვირვებენ კაცები. — ჩვენ იქ არ ვიქნებით?.. ესე

იგი, ჩვენ იქვე ახლო ვცურაობთ გადახურულ-ში...

— ხა, ხა, ხა, ხა, ღამის ათ საათზე... მაშ ასე და ასე: ამ საღამოს ათ საათზე ვიცურავებთ, არა? ჰო, კაი საცურაოა, რა უჭირს... არც სიცხე დასნვავს თქვენს ნაზ კანს. ნეტა რას ფიქრობს ზღვა ათ საათზე ცურაობის შესახებ. ჯერ ძალიან წყნარად არის: ალბათ, მიეჩვია ათ საათზე მოცურავე ხალხს... ხა, ხა, ხა...

აი, აგერ სტუდენტი და ახალგაზრდა ქალი.

— მართალი უნდა ვთქვა, მე ბუნება არ მიყვარს, — ამბობს სტუდენტი.

— როგორ? — განცვიფრებით ეკითხება ქალი.

— ბუნება ჩვენ პირველყოფილ მდგომარეობას გვაახლოებს და...

— Что вы говорите, Яша, это же дико! ბუნება სიცოცხლეა ჩვენი, სილამაზე, მშვენიერება... ის დაფარული აზრია ჩვენი ცხოვრების, — აღელვებით ეკამათება იაშას ქალი.

— ფილოსოფიური მსჯელობაა, „დაფარული აზრი".

დიახ, ყმაწვილო, ბევრ რასმე ნიშნავს „დაფარული აზრი". აი, თქვენი ჩაკიდებული ხე-

ლები ახლა დაფარული აზრით ლაპარაკობენ, თუმცა თქვენი ენა სულ შორს არის ამ „დაფარული აზრისაგან...“ ხა, ხა, ხა.

და განა ამ ხალხში ყველა დაფარული აზრით არ ლაპარაკობს... არც ერთი იმას არ ამბობს, რაც გულში აქვს. ბევრ კარგ და ლამაზ სიტყვას ამბობს აქ ენა, მაგრამ გული აქ სულ სხვას გაიძახის, აქ ყველა ატყუებს ერთიმეორეს, რადგან აქ გამოფენაა და საქონლის გარეგნობას ხომ მეტი ფასი აქვს.

— ქალბატონო, ცხვირსახოცი დაგივარდათ! — ეძახის ქალს მოხუცი მებაღე, რომელიც თავისი დაკოჟრებული ხელებით სათუთად აშორებს ბალახს ნაზ ყვავილებს.

— გმადლობთ, ბაბუა! — ეძახის ქალი და ისევ მიჰყვება ახალგაზრდა სტუდენტს. სტუდენტი ისევ იმას ამტკიცებს — ბუნება ცუდ გავლენას ახდენსო ადამიანზე.

აგერ მუშები ჩამოჯდნენ. როგორი თვალით უყურებენ მათ. რად არ წავლენ ნეტავი ამ ბაღიდან, როგორი დისონანსი შემოაქვთ მათ აქ. ჭრელ სპარსულ ხალიჩას რომ უფერული ტალახის ლაქა დააცხო, ისე არიან ამ ბაღში. აბა, ჰკითხეთ ამ ხანში შესულ ქალს, რომელიც რაღაც ჯოხზე წამოცმული სათვალეებით

იხედება. როგორ აიშვირა ცხვირი, მათ რომ შეხედა. ისინი კი არ ფიქრობენ, თუ რა უსიამოვნებას აყენებენ „წმინდა საზოგადოებას“.

— ერასტიას რო საქმე მოუვიდა, კაცო, დღეს... დეეცა ი რეიცის რკინა ხელზე და ორი თითი ჭიქასავით მოაფშვნა...

— აბა, მერე რა მწარეა, ის ოხერი დაბეჟილი ხორცი.

— დაბეჟილი კი არა, სულ მოტეხილია ორი თითი.

ამგვარ ლაპარაკში არიან ისინი, დაბლიდან კი მხიარული ხარხარი და სიმღერა მოისმის.

По улице ходила
Большая кро-ко-ди-ла.
Тра-ла...

მოისმის ქალის ხმა...

— აბა, ჰე, ვინ უფრო დიდხანს გადავიხარხარებთ, ჰე... ხა, ხა, ხა., — და ხარხარებენ ზღვის ნაპირებზე...

— ეხ, ჩემო ძმაო, ცხოვრება მაგათია... და, — ჩაილაპარაკა ერთმა მუშამ, ადგა და წასვლა დააპირა, მას სხვებიც აჰყვნენ და ყველანი გავიდნენ.

— შეიძლება დავსხდეთ ამ სკამზე? — კითხულობს ორი ქალიშვილი.

— დაბრძანდით.

— მშვენიერი საღამოა დღეს.

— არა უშავს რა.

— რად სწევთ ამდენ თუთუნს, ჩვენ რამდენჯერ გავიარეთ და თქვენ სულ თუთუნსა სწევთ, არ გაწყენთ?

— თამბაქო? ჰმ... თამბაქო წამალია მელანქოლიის... მშვენიერი თუთუნია. თქვენ მართლა გგონიათ, რომ თუთუნი მავნებელია?

— რასაკვირველია.

— თქვენ იცით ნიუტონის კანონი?

ქალები გაშტერებულნი მომჩერებიან... უცბად წამოხტნენ და სიცილით გაექანენ... წავიდნენ...

— დურაკ... — მოისმა მათი ხმა და სიცილი.

ეეე, გაუგებარი ხალხია ეს მოსეირნე საზოგადოება... აბა, რათი ვარ მე „დურაკი"? ვკითხე, თუ იციან ნიუტონის კანონი... აქ ნინათ რომ ქალმა გაიარა, იმან იცოდა, მეინტერესებოდა, ამათაც იცოდნენ თუ არა. წავალ სახლში, ანდა გავუდგები ზღვის ნაპირს.

რას დაწყნარებულხარ, ჩემო ზღვაო, ა?

აახმაურე ერთი შენებურად ქოჩორა ტალღები, გადმოლახე ნაპირი და შესძახე ზევით მოსეირნე ხალხს, დროა სახლში წასვლისა.

რაო? ღმერთმანი არაფერი არ მესმის დღეს ამ ზღვის ლაპარაკის, დუდუნებს ჩუმად და ვერაფერი ვერ გამიგია.

დავჯდები ისევ ჩემს ოთახში და ვიკითხავ. ალბათ, ის ახალგაზრდა გიმნაზიელიც ჩაუჯდება ამაღამ ფიზიკას და სხვის კანონებს კი არა, საკუთარ კანონებსაც გამოიგონებს.

ასეთია ახალგაზრდობა. არ გამოიგონებს ახალ კანონებს, როდესაც მას თვალჟუჟუნა მოისურვებს? გამოიგონებს, გამოიგონებს.

ჰმ... მელანქოლია, მელანქოლია... ვივლი ამ ზღვის პირას ისევ, ვივლი, სანამ არ დავიღლები.

1916

უდაბნოს საიდუმლო

(არაბული ლეგენდა)

ალბად თქვენც გაგიგონიათ ეს ზღაპარი.

ძველია ის, ვით ქვეყანა მზიურ მოთხრობათა, მაგრამ მაინც მოგითხრობთ თქვენ მას...

ამბობენ, როდესაც ჰეჯასის გადამწვარ მიდამოებს გამოეთხოვება ცეცხლის მფრქვეველი მზე, გადახრუკულ მაღლობებიდან დაჰბერავს საღამოის ცივი ქარი და შორეული დასავლეთი წითელ ცეცხლის კოცონში გაეხვევა, — ამ დროს გამოჩნდება თურმე ვიღაც მოხუცი მგზავრი და ნელის ნაბიჯით მიეშურება...

სად? რისთვის?

არვინ იცის სად, ან რისთვის... და არც თვით ამბობს, თუ სით არის გზა მისი, რას ეძიებს იგი ამ ბნელ, ჯოჯოხეთურ ღამეში.

და დადის, თურმე — წელში მოხრილი და თითქოს ცის რისხვისა ეშინიაო — არ აშორებს თვალს უნაყოფო მიწას და არ იხედება ზევით.

ასე მოხრილი დადის, თურმე სულ, მოხუცი.

დადის ღამით... სქელი ღამის ბნელ ფრთის ქვეშ, დადის დღისითაც და მიყვება მწველი მზის სამარადისო სხივების გზას. და მიდის... მიდის...

ბევრჯელ უნახავთ ის, თურმე, მოგზაურებს, და ბევრჯერ ჩაუვლია მას უხმოთ დასვენებულ ქარავანის გვერდით...

ასე დადის ის მრავალ წელთა განმავლობაში, წელში მოხრილი, უტყვი და მდუმარე და ბევრჯერ უნახავთ იგი მოგზაურებს.

— ვინ ხარ, ან სად მიხვალ, ან რას ეძიებ? — ეკითხებიან, თურმე, მას, მაგრამ მდუმარებით არის მოცული ბაგენი მისი, და არ იძლევა იგი რაიმე პასუხს.

ამბობენ! რომ ერთ ღამეს, როცა ძლევამოსილი მეფის ამალა ნადირობის შემდეგ შეჰფარებოდა მყუდრო ოაზისს და ტკბილ ძილს მისცემოდა, — ამ დროს დაიჭირა ის ერთმა დარაჯმა და დილით წარუდგინა მეფეს, ვით ავაზაკი ვინმე.

ხოლო არ წასცდა მოხუცს სიტყვა რაიმე; განრისხდა მეფე და სასტიკი სასჯელი მიუსაჯა მას.

ნამების დროს სთქვა მან მხოლოდ ორიოდ სიტყვა:

— ვეძიებდი... ვეძიებდი... სიყმაწვილეს... ახალგაზრდობას!..

მყისვე მიატოვეს დარაჯებმა ის და გაეშურენ მეფესთან, რათა მოეხსენებინათ მისთვის ნათქვამი მოხუცისა.

და მოიხმო მეფემ ის უცნაური კაცი... მაგრამ გაქრა იგი, ვით წყარო უდაბნოს ცხელ ქვიშაში, ვით ნისლი ცხელი მზის მწველ სხივებზე... ბევრი ეძიეს იგი მეფის მსახურებმა და ვერ პოვეს კვალი მისი.

და მას შემდეგაც დადის, თურმე, ნელში მოხრილი მოხუცი, დადის დაუღალავათ და ეძიებს უდაბნოში დაკარგულ სიყმაწვილეს.

ეძიებს და დასჩერებია მიწას და არ იხედება ის ზეცისაკენ, თითქოს მისი რისხვის ეშინიაო...

და დადის... სულ დადის!..

ასე ათავებენ მოხუცნი არაბნი ამ ძველ თქმულებას და გამოურკვეველი სევდა იპყრობს მაშინ ყველა იქ მყოფთ... ვაჟკაცნი გასცქერიან შავ უდაბნოს, ხოლო მოხუცნი ეძლევიან მწარე ფიქრებს, რომ გაქრა სიყმაწვილე, რომ შთანთქა იგი უდაბნოს უს-

აზღვრო სივრცემ, ამოაშრო და დასწვა ის მწველმა მზის სხივებმა და უდაბნოს ცხელი ქარი კივილ-ხარხარით ფანტავს მტვერს ოდესღაც ნორჩი სიჭაბუკისასაო...

ასეთი ლეგენდა დადის არაბეთის მზიურ შვილთა შორის.

უსათუოდ გაიგონებდით თქვენ ამ ძველებურ თქმულებას, მაგრამ მაინც გეტყვით მას...

ძველია ის, ვით ქვეყანა, მზიურ თქმულებათა შემქმნელი, მაგრამ მარადის ახალი ცაა იგი, ვით ნორჩი თაიგული აყვავებულ სიყმანვილისა.

1916

სამარადისო ზღაპარი

ისინი სამნი იყვნენ.

არვინ იცოდა, ვინ იყვნენ ისინი, რისთვის დადიოდნენ ასე, ან საიდან მოდიოდნენ.

მრავალი ტანჯვა-წამება გამოევლოთ მათ დღე-ღამ გზაში ნანწალით. ფეხთ არ ეცვათ, თავს არ ეხურათ, ტანსაცმელი მათი ძონძებად ქცეულიყო.

და ისხდნენ ისინი ერთხელ გზის პირას, ისვენებდნენ, რათა ცოტა ხნის შემდეგ ისევ შესდგომოდნენ ძნელსა და ულეველ გზას. ამ დროს დაინახა ისინი მოხუცმა მგზავრმა და ჰკითხა: — საიდან მოდიხართ, ან სად მიდიხართ თქვენ, მოგზაურნო? წყნარად უპასუხეს მათ, რომ მოდიან იმ ქვეყნიდან, სადაც სუფევს მეუფება წყვდიადისა, სად ისმის მხოლოდ მოთქმა და წყევლა; მოდიან იქიდან, სადაც ნაკადულივით იღვრება მწარე ცრემლი და სისხლის ღვარი, სადაც ფრთაგაშლილი სიკვდილი თავს დასტრიალებს ადამიანთ და შემზარავი ხარხარით უწამლავს მათ წუთებს ცხოვრებისას; და კიდევ უპასუხეს მათ, რომ სად მიდიან, თვით არ იციან. მხოლოდ ეძიე-

ბენ ქვეყანას, სადაც არ არის ცრემლი და ტანჯვა, სად არ ისმის საშინელი ხარხარი სიკვდილისა, სად ბედნიერი ადამიანი სიხარულით ეწაფება მჩქეფარე ტალღებს სიცოცხლისას...

კიდევ დიდხანს უსმენდა მოგზაური მათ მოთხრობას შორეული ქვეყნის შესახებ, საიდანაც მოდიოდნენ ისინი, უსმენდა იმ ქვეყნის ამბავსაც, სადაც ახლა მიდიოდნენ...

ჭმუნვა და სევდა მოჰგვარა მოხუცს უცხო კაცთა სიტყვამ და ასე უთხრა მათ:

— ტყუილად მიდიხართ თქვენ იმ ქვეყნად და ტყუილად ეძებთ მას... ვერასოდეს ვერ ნახავთ თქვენ იმ ქვეყანას, ვერ იხილავთ იმგვარ მხარეს, სადაც არ მეფობდეს კვნესა და ტანჯვა. ვერ იხილავთ ქვეყანას, სადაც იქნება ბედნიერება და სიყვარული. არ არსებობს ეგეთი ქვეყანა ახლა. ხოლო ამბობენ კი, რომ ძველად ყოფილა. იყო თურმე ეგეთი ქვეყანა... დედამიწა ერქვა სახელად, მხოლოდ ახლა... ნუ დაეძებთ იმ ქვეყანას, ვერ იპოვით მას.

— არ შევსდგებით ჩვენ, — მიუგეს მას მგზავრებმა, — ჩვენ ვივლით... ჩვენ უსათუოდ ვიპოვით მას. ჩვენ ვეძიებთ.

— მეც ვეძიებდი. მეც გადავიარე ის მთები, შორეული ზღვები და მდინარეები. მივდიოდი სულ წინ... ვეძიებდი, მაგრამ ხედავთ: უკან დავბრუნდი და ისევ ჩემს ქვეყანაში მიდივარ. დავბრუნდი.

და გველის სისინივით შეიჭრა მათ გულში ეჭვი გამარჯვებისა... ნუთით შესდგნენ მოგზაურნი, მაგრამ უცბად ზეზე ნამოდგნენ და ასე უთხრეს მოხუცს:

— ჩვენ წავალთ... იქნებ ჩვენ ვნახოთ, — და გაუდგნენ გზას, შორეულ გზას უცხო ქვეყნისაკენ.

გავიდა ხანი.

ისინი მიდიოდნენ წინ, სულ წინ, ხოლო ვერსად ვერ იპოვეს მათ სანეტარო ქვეყანა იგი. და შეიმოსა თეთრი ჭაღარით მათი თმა და წვერი და მოიღალა მუხლი მათი და მინისკენ დაიხარა წელი მოგზაურთა. ველარ შესცქეროდნენ ისინი ზეცას ისე ამაყად, როგორც წინათ, და წელში მოხრილნი თითქოს დაკარგულ რასმე ეძებენო, მიწას დასცქეროდნენ ისინი. მოიქანცა სხეული მათი... ძიებისაგან დაიღალა მშფოთავი სული და ძველ ტანჯვას მიემატა ახალი... გაცრუებულმა იმედებმა კიდევ ერთი ღრმა იარა დააჩინეს მათ

გულს და პირი იბრუნეს მოგზაურთ, დაბ-
რუნდნენ იმ ქვეყანას, საიდანაც წამოვიდნენ
მრავალი წლის წინათ...

ძველი გზით ბრუნდებოდნენ ისინი და
მწარე ფიქრებში გართულნი თანდათან უახ-
ლოვდებოდნენ თავიანთ მხარეს და იმავე
გზაზე შეხვდა მათ ჯგუფი ვაჟკაცთა — ისი-
ნი მიდიოდნენ სიმღერითა და სიცილით.
სწრაფი იყო ნაბიჯი მათი. დიდი იყო სურვილი
და ძლიერი იყო ძალა სულისა. გაიგეს მო-
ხუცთ, რომ ახალგაზრდანი მოშორებიან ტან-
ჯულ ქვეყანას, რომ მათ სურთ იხილონ სხვა
ქვეყანა, ახალი ქვეყანა, სადაც სუფევს სიყ-
ვარული და ბედნიერება. და მყისვე
აუწყეს მოხუცებმა ყმაწვილთ, რომ ამაოა
ყოველივე, ტყუილია ძიება და შრომა, რომ
ვერასოდეს ვერ იპოვნიან ახალგაზრდა მაძიე-
ბელნი სანატრელ ქვეყანას... აცნობეს
ყმაწვილთ მოხუცებმა, რომ ისინიც ეგრე
ეძიებდნენ ქვეყანას ბედნიერებისა და სიყ-
ვარულისას, მაგრამ ახლა დაღლილნი და
დაქანცულნი ბრუნდებიან შინ, ვერსად
ჰპოვეს ის ქვეყანა. მაგრამ დიდი იყო იმედი
ვაჟკაცთა გულში, სწრაფი და ღონიერი იყო

ფეხი მათი და გაბედულად სცემდა გული მათი.

და გაუდგნენ ისინი გზას, შორსა გზას... შორეული სანატრელი ქვეყნისაკენ.

* * *

განვლო წლებმა... გაიარა მრავალმა საუკუნემ... ამ გზაზე ბევრჯერ ხვდებიან ერთიმეორეს მიმავალნი — მაძიებელნი სიყვარულისა და ბედნიერების ქვეყნისა და მომავალნი — უშედეგო ძიებისაგან დაღლილნი. და მოუთხრობენ ურთიერთს ისინი თავიანთ მწუხარე ამბებს...

ამ წელთა და საუკუნეთა სრბოლაში არ ყოფილა ისეთი წუთი, რომ დაბრუნებულს ეთქვას მაძიებელთათვის:

— გიხაროდენ, შვილნო ტანჯული მიწისა, ჩვენ ვიპოვეთ ქვეყანა ბედნიერებისა და სიყვარულისა.

არ ყოფილა ასეთი ჟამი.

და ვით შეუწყვეტელია თვით ტანჯვა, ვით სამარადისოა წუხილი და ცრემლი, ვით შეუ-

ჩერებელია სურვილი და აზრი ადამიანისა, ისე შეუწყვეტლივ მიდიან და ეძიებენ ადამიანები იმ ქვეყანას და ისევ მოდიან დაღლილნი და ნელში მოხრილნი და მრავალ წელთა და საუკუნეთა სრბოლაში არ ყოფილა ნუთი იგი სანეტარო, რომ დაბრუნებულს ეთქვას მიმავალთათვის:

— გიხაროდენ, შვილნო ტანჯული მიწისა, მე ვიპოვე ქვეყანა ბედნიერებისა და სიყვარულისა.

არ ყოფილა ისეთი ჟამი საუკუნეთა განმავლობაში.

ისინი კი მიდიან, სულ მიდიან, ვით ფრინველთა გუნდი, თბილ ქვეყანაში გადაფრენის დროს.

სულ მიდიან...

1916

რეა

- რეა

ასე ეძახდნენ მას, რომელმაც ჩემს ცხოვრებას გაზაფხულის სიმხიარულესთან ზამთრის თეთრი არშიაც შემოახვია; ვინაც ააყვავილა ჩემი საჭაბუკის უფერული დღეები და ღამის შავი მდუმარებით დაფარა ისინი...

- რეა

ეს ხომ ჩემი გულის ძგერაა, ჩემი სუნთქვა, ჩემი გრძნობათა სხივოსნობა, სულის აღმაფრენა!..

- რეა

ეს ხომ ჩემი დაფერფლილი სამსხვერპლოა, გაცრუებული იმედები, დამსხვრეულ გრძნობათა იალქნები, მშვენიერ-საშინელი სიცრუე ჩემი ცხოვრებისა.

ეს სახელი აკვანი და სასაფლაოა ჩემ გრძნობათა ყვავილნარისა ...

და ამ ღამით, როდესაც ჩემი ფიქრები გზააბნეული ნისლივით მიუსაფარად დაწანწალობენ მოგონებათა გაქვავებულ ხეივანში, უსახო კოშმარის კლანჭები ღრმად ჩასჭიდებიან ჩემს ტვინს; გულის სიღრმიდან ამოხეთ-

ქილი უფერო საშინელება საფეთქელში მცემს, ამღვრევს ჩემს აზრთა წყობას და ჩემს კარებზე სიკვდილის დამპალი თითები შავ ლაქებს ხაზავენ ყრუ ღამეში.

მე მინდა უკანასკნელი ჩემი სიტყვა იყოს მასზე, ვინც მიყვარდა, ვინც მიყვარდა, ვინც სულ მახსოვდა, სულ

- რეა

პირველად ვიხილე მე ის

არა, პირველად ის კი არ ვნახე, მე მხოლოდ სახება ვნახე მისი. თვით კი სად იყო, ვინ იყო, სადაური ან ვისი –

- მე არ ვიცოდი ეს.

ვიცი, რომ ერთხელ, როდესაც ზამთრის სიცივით ათრთოლებული ვბრუნდებოდი შინ, თვალი მოვკარი ლამაზ ჩარჩოში გამოფენილ სურათებთან ერთად

- მის სურათსაც

მე მახსოვს, - როცა დიდ ქალაქთან ბრძოლით დაქანცული ვუბრუნდებოდი ჩემს მეხუთე სართულს, მისი სურათი დავინახე.

დავინახე, დავაცქერდი –

გამათბო მის თვალთა სხივოსნობამ და გაყინული ცეკვა შესწყვიტეს კბილებმა, რად-

გან მე ვუცქერდი მის სურათს, უცხოს, ახლო-შორეულ სახებას ...

გაბედულად შევედი სახელოსნოში და სურათის პირი შევუკვეთე.

- აი, ის, - ვუთხარი – თბილი თვალები რომ აქვს

და განვლო დღეებმა.

ცივი ზამთრის სიმუნჯე გაზაფხულის ფოთოლთა ტაშისცემამ შესცვალა. ის სურათი მითბობდა მე ყრუ დღეებს, როცა ზამთრის სუსხი ოთახის ფანჯარას ებრძოდა და ღამის ცივი ლანდები კედლებზე ტურნირობდნენ.

რამდენი ღამე გავატარე შენთან საუბარში, რეა რამდენი!..

შენი სურათის წინ ვიდექი, რეა, იმ ღამობით და ჩვენ ვსაუბრობდით, დიახ, ვსაუბრობდით შორი-შორს.

- მე ხომ ერთხელაც არ მიკოცნია სურათისათვის, ჩემო რეა. არა – ჩემი ამბორი ხომ დასწვავდა მას და მე მეშინოდა.

  და როდესაც მე შენ გიხილე ქალაქის ერთ შორეულ ქუჩაში – მაშინ გზის კიდეს მდგარი ჭლექიანი კვიპაროსებიც კი მაისობდნენ, გახსოვს – მე გული წამივიდა, თავბრუ დამესხა.

არავინ იყო, რეა, იქ იმ დროს.

ახ, ღმერთო – შეკრთომით წამოვიძახე მე – უნებურად.

შენს წინ დავეცი.

შენ გაიარე ცოტა შემობრუნდი და

- თქვენ ავადა ხართ – მითხარი – გული წაგივიდათ. აი, უყნოსეთ – და პაწია სურნელოვანი შუშა გამომიწოდე

ამის შემდეგ შემიყვარდა შენი ქუჩა, რეა - ქალაქიდან თუ ქალაქში – სულ იმ ქუჩით დავდიოდი და მახსოვს ერთხელ დაგინახე და

- ეს თქვენი სურათი ხომ არ არის? – გითხარ მე – შემთხვევით ვნახე.

როგორ გაგიკვირდა, როგორ აენთო შენი თვალები.

- დიახ, ჩემია. სად ნახეთ?

- აი, იქ, ქუჩის ყურას, ჩასახვევში.

სურათი გამომართვი.

გმადლობთ – მითხარი და ჩქარი ნაბიჯით წახვედი.

და მაგონდება კიდევ.

მე მოვედი ერთხელ შენ სახლთან, მოშორებით დავდექ. მიდიოდი სადღაც და შეგხვდი. გაიღიმე, მომესალმე.

- როგორა გრძნობთ თავს? – მკითხე.

- გმადლობთ, კარგად, მაგრამ იცით, დამიბრუნეთ ის სურათი. მას ისე მივეჩვიე. დამიბრუნეთ. ანდა ნება მომეცით ხშირად ვიარო თქვენს ქუჩაზე. არა. თქვენს ...

აღარ მახსოვს კიდევ რა ვსთქვი მაშინ. ჩვენ მივდიოდით ლაპარაკით. მახსოვს – შენ სახლში მიმიწვიე.

- ჩვენ ისე ვლაპარაკობთ, თითქოს წინათ ვიცნობდით ერთმანეთს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით – სთქვი შენ.

და როდესაც შემოდგომამ დააჭკნო თქვენს ბაღში ყვავილნარი, მაშინ ჩვენი სიყვარული გაზაფხულდა, შემოდგომაზე გაგვიზაფხულდა ჩვენ, რეა.

მოგვიტაცა ჩვენ სიყვარულის ნიაღვარმა, მთელი წელი ერთად გავატარეთ.

ჩვენი სწრაფვა ხომ სიყვარულმა დააგვირგვინა, რეა. და შენ ხომ ჩემი იყავი, ჩემი, რეა.

მაგრამ ...

მეშინია მოგონების, იმ საშინელი ავადმყოფობის შემდეგ შენი მოგონება მეშინია – გონება ირღვევა და ცხელ ტვინს კვლავ უახლოვდება შეშლილობის უფერულობა და ეს

ხომ უფრო მეტი საშინელებაა, ღმერთო: გეშინოდეს შენი მოგონების, მაგრამ

შენ ისე მალე დაიწვი სიყვარულის სამსხვერპლოზე, ისე მალე დაიფერფლე, ისე ადრე.

- ხომ არ დამივიწყებ? - უკანასკნელად სთქვი შენ და განშორდი ცხოვრებას, ჩემო რეა. თვალდახუჭულმა გაციებულად შემომხვიე შენი ხელები

უკანასკნელად.

- ხომ არ დამივიწყებ?

მახსოვს ეს სიტყვები, კარგად მახსოვს ეხლაც. და ატირდა შენს საფლავზე მზიანი დღეები. მე კი

მე არ ვსტიროდი იმ დროს, აჰ, აჰ.

ადამიანები ხომ მაშინაც კი, ფინია რომ მოუკვდებათ, ან კიდევ

როდის არ სტირიან ისინი, ხომ ასეთი იაფია ცრემლი მე კი არ ვსტიროდი, არა.

მე შორეულ ქუჩებში დავეხეტებოდი, ვით ღამის ნისლი. შემდეგ? ერთხელ, როდესაც ქალაქგარეთ ლოთებმა ყავახანაში შემიპატიჟეს, მიველ მათთან

აღარ მახსოვს, როგორ დავბრუნდი შინ. დავითვერი, ალბათ და ასე გავიდა თეთრი ზამთრის ერთფეროვანი დღეები.

მე არ მახსოვს როგორ მოხდა ეს. გონება ჩემი დასუსტდა მას შემდეგ და ეხლა, როდესაც „ყვითელი კოშმარის“ საშინელებას თავი დავაღწიე, მინდა აღვადგინო ის სურათი, მოვიგონო თუ რა მოხდა იმ ღამეს, როცა მთელი კვირის ლოთობით დაღლილი სახლში დავბრუნდი. კარგად არ მახსოვს.

დაბრუნებისას შევნიშნე ქუჩიდან – სინათლე იყო ჩემს ოთახში და როცა აბნეული ნაბიჯით კიბეზე ავედი და კარი შევაღე – იქ შენ იჯექი, ჩემს ოთახში, თეთრად მომღიმარი, სანთელთან, თეთრში, მონყენილი, ნანამები სახით.

მგონი ასე იყო, არ მახსოვს კარგად.

მაგონდება – ვიყვირე, თვალთ დამიბნელდა, დავეცი. მომესმა მხოლოდ სუსტი –

- „არ დამივიწყო“.

შემდეგ კი შემდეგ მე, ალბათ, შეშლილად მცნეს. აბა რას უნდა ნიშნავდეს ეს მოწმობა, ექიმებმა რომ მომცეს. იქ სწერია, რომ მე ერთი წელი შეშლილთა სახლში გამიტარებია.

აქ ეს სწერია.

და ყვითელი კოშმარი ეხლაც ნისლით ბურავს ჩემ გონებას.

- რეა, ჩემო რეა!

ამ ღამეს, როცა მე გონება ჯერ სავსებით არ დამიკარგავს, როცა შეიძლება ყველაფერი ეს, რასაც ეხლა მე ვწერ, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი სტრიქონები იყოს, მე მინდა ერთხელ კიდევ დავხედო შენს სურათს. ერთხელ კიდევ, რადგან დღეს, ამ წუთში, ნათელია ჩემი გონება.

ერთხელ კიდევ

სანთლის მთვრალი ლანდები ჩემს ოთახში ცეკვავენ, დარბიან და ერთმანეთს ეხვევიან, თეთრი აჩრდილები დაჰქრიან გარეთ, მგონი ფანჯრებს შემოსტეხენ.

მე ვხედავ მათ კლანჭებიან ხელებს.

მე მეშინია, რეა

მეშინია იმ შრიალის, იმ კლანჭების, იმ ლანდების ცეკვის

და ამ ღამეს, როცა შენი მოგონებით ისევ აინთო ჩემი აზრის სანთლები, ერთხელ კიდევ მინდა დავხედო შენს სურათს და გითხრა:

- მუდამ მახსოვდი, რეა. სულ

იქნებ შემოსტეხოს მოჩვენებათა ჯარმა ფანჯრები. იქნებ იმ საშინელი კლანჭებით ამოკორტნონ აწ სიცივით მოცული ტვინი, დამიხშონ გონება და ყველაფერი დამავიწყ-

დეს. როგორც იმ ღამეს, ჩემს ოთახში სანთელთან მოწყენილი რომ დაგინახე. იქნებ ყველაფერი დამავიწყდეს.

გაიგონე, რეა, თუ სადმე ხარ – მე სულ მახსოვდი, სულ „არ დამივიწყო".

თეთრი ლანდები მეხვევიან გარს, აი, ხელს მიჭერენ ყელზე თავზე კლანჭები. გაყინული თითები, გაციებული დამპალი თითები

გაიგონე, რეა!

- სულ მახსოვდი. სულ, სულ

- რეა!

1918

აკვარელით ნახატები

მზე უკანასკნელად შეჩერდა ცის კაბადონზე. უკანასკნელად გადაავლო თვალი ქვეყანას და მოკვდა...

მთვლემარე ბინდმა ჩაიკრა გულში არემარე. შორს ქალაქის სანთლებმა დასჭრეს ღამის შავი ნიღაბი. აქ კი აყვავილებულ ზღვის ტალღათა ჩქერს თეთრი ნისლი გადაეხვია.

ზღვაში მდგარი პატარა გემი მთვრალი ქანაობით გაჰყვა ტალღათა ნანინას. ცოტა ხანს კიდევ ისხდა ზღვის ნაპირას ახალგაზრდათა ჯგუფი. ამეტყველდა ნისლიანი ქარი და ისინიც ნელის ნაბიჯით, წყვილწყვილად გაეშურნენ ქალაქისაკენ.

ბნელი ღამე თითქოს აქრობდა ხმათა ბგერას — ისმოდა მხოლოდ ნელი, ჩუმი საუბარი...

ყველაზე წინ მიმავალი ქალ-ვაჟი სიყვარულზე ბაასობდნენ.

ქალის მკლავზე გადახლართული ყმაწვილის ნელი თრთოლა, ვით სიცილი წამებულისა; მისი მთვრალი, აბნეული ლაპარაკი ღამეში გზას გადამცდარი კაცის ბორძიკს ჰგავდა.

— იცი, ჩემო... მე მიყვარს ის უბანი, სადაც შენ ცხოვრობ, შემიყვარდა ის გზა, სადაც შენ დადიხარ... ვერ წარმომიდგენია თავი უშენოდ, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო...

და ის ჰკოცნიდა ქალის ხელის თითებს, მის ათრთოლებულ ხელში რომ ფრთხიალებდნენ...

მათ გადაუხვიეს ხეებში, ჩამოსხდნენ გრძელ სკამზე.

ღამემ გადააფარა მათ თავისი მდუმარე კალთა და ვით ფოთოლთ წკრიალი — ისმოდა ხის ძირას:

— მიყვარხარ!..

— შენ, მხოლოდ შენ!..

— მუდამ, მარადის!..

და წკრიალა კოცნა ადასტურებდა გრძნობათა სიტყვიერ გამოთქმას...

* * *

მეორე დღეს განშორდნენ ისინი ზღვისპირას გაბნეულ ქალაქს.

მატარებელი მიჰქროდა, აღფრთოვანებით ჰკვეთდა სივრცეს და შორს მიაქანებდა მათ.

იმ ვაგონში თითქმის არავინ იჯდა.

თითქოს შველას ეძებდა ვაჟის ძლიერ მკერდზე — ქალი ვნებით ეკვროდა ვაჟს. ის კი სიყვარულის მარგალიტებს კრებდა ცირას თვალთა მღელვარე ზღვაში.

მატარებელი გაჩერდა. აქ დიდი სადგური იყო და მატარებლის შენაცვლება უნდა მომხდარიყო.

ისინი ბაქანზე გადმოვიდნენ, გაიარეს.

ვაჟის ხელზე მიყრდნობილი ქალი უცბათ შეკრთა, შეჩერდა — თითქოს თვალებზე ბინდი გადაეკრა და გაოცებით წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია!..

და თვალი გააყოლა ახლო მიმავალ კოხტა ოფიცერს.

* * *

დაჰკრეს ზარი.

ვაჟი მარტოდ გაჰყვა იმავე მატარებელს, ზღვის ნაპირას გაბნეულ ქალაქისაკენ.

1918

ბაბილონის ხალიჩა

... არაბული რაში მიმაფრენდა მე აფერადებული გზით. გზა იყო ზღაპრულ-საოცარი:

ბაბილონის ხალიჩა გაეფინათ უდაბნოში ცის კიდემდე. იყო უდაბნო სწორი, გარდუვალი, გადამწვარ-ქვიშიანი და წითელ ზოლად მოსჩანდა ზედ გაფენილი ფართო ხალიჩა.

მე წინ ვიხედებოდი. ხალიჩა ფართო იყო, ხალიჩას ბოლო არ უჩანდა – ბრწყინვალე ზოლად თავდებოდა ის ჰორიზონტზე.

ოცნების რაშზე მივქროდი მე აფერადებული გზით.

ჩემს წინ კი მიექანებოდა საოცნებო კუ.

მისი ზურგი ძვირფასი თვლებით იყო დაფარული, მზის სინათლეში ის მეორე მზედ ანათებდა.

და სხივთა მხურვალე შუბებით თვალს სჭრიდა ჩემს მერანს.

მაგრამ მე, გასწრობის ჟინით შეპყრობილი, მივაქანებდი მას. და რაში მისდევდა კუს – ამ უცნაურად აფერადებული ბურთის სხივებს.

არ უჩანდა ბოლო ამ სიზმარ-ცხადს, ამ გზაულეველ სხვადასხვაობას.

კუ ისევ შორს იყო.

მე გაგიჟებით მივაქროლებდი რაშს. მინდოდა დავწეოდი. მეხილა საოცნებო სანახაობა.

იღლება მერანი. ვხედავ რომ იღლება, მაგრამ მაინც მიფრინავს – ხალიჩიანი გზით.

უცებ კოცონად აენთო კუს ზურგზე გადამსხვრეული მზის სხივები და ამ ცეცხლით დაბრმავებული, დაღლილი – დაეცა მერანი.

მიქროლავს კუ, მიექანება.

მე ფეხით გავსდიე მას. მსურდა დავწეოდი ამ საოცარ ცხოველს, ბაბილონის ხალიჩაზე რომ მზის ჩასვლისკენ მირბოდა. ვიჩქარობდი.

ჩქარობდა დროც.

მივრბოდი თითქმის დავეწიე. მივუახლოვდი

მაგრამ ვიღლებოდი, ვსუსტდებოდი თანდათან. ის კი – ისევ ფერად-სხივოსანი – მშორდებოდა.

ვეღარ შევძელ და,

როცა ღამემ უდაბნოს კარზე შავი ნაბადი ჩამოჰკიდა,

მე დავეცი

კუ კი ისევ ბრწყინავდა, ისევ ახლოშორეულობდა, ისევ მიექანებოდა მზისაკენ.

... გრძნობადაკარგული ვიწექი ღამით საბედისწერო ხალიჩის გზაზე.

უდაბნო კი იყო ცივი და ფრთიანი ქვიშით მფარავდა მე.

კუ კი ისევ ბრწყინავდა, ის ისევ მიუწვდომელი იყო

ყრუ უდაბნოში დაცემული ვუცქერდი მას და თვალს არ ვაშორებდი –

სანამ თვალები არ ამივსო ცხელმა ქვიშამ ...

1918

გარდაცვალება

„წმინდანიანი“, „შავი ვარსკვლავი“, „გარდაცვალება“, — ეს ერთი მთლიანი გზაა პოეტის და ადამიანის. ამ გზაზე არ იყო არც დრო და არც ადგილი დასვენების და, რაც ჩემთვის მთავარია, — არ იყო სიყალბე და კომპრომისი. პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს და, ალბათ, ქსაა მიზეზი, რომ მე, როგორც პოეტი, ჩამოვრჩი დღევანდელი ამბოხებული დროის აქტუალობას. როგორც პოეტი, მე, შესაძლებელია, დავრჩე წარსულში.

მაგრამ მოქმედების, გამბედაობის და სიცოცხლის ლოლიკამ მე გამათანასწორა თანამედროობასთან, როგორც ადამიანი.

შეიძლება მომავალში ეს ორი პარალელი შეერთდეს. მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ამ წინააღმდეგობაში ჩავარდნილია მთელი ჩემი დრო. და პოეტისათვის ეს წინააღმდეგობა ხშირად თავდება კატასტროფით.

ვფიქრობ — დასასრული ჯერ შორსაა და თუ პოეზია და მოქმედება მაინც ვერ შეერთდა, ეს ორი ცნება ერთ სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი. ეს კი მოითხოვს უკუღმა შეფასებას: პოეტისას — დღეს, ადამიანისას — მომავალში, რაც, ბოლოს და ბოლოს, სულ ერთია, თუ ადამიანის ამბავი გაჰყვა საუკუნეს, როგორც პოემა.

ნიკოლო მიწიშვილი

სტამბოლი

I

უცხოეთი. სტამბოლი. შავ ზღვას გადაღმა — საქართველო.

ადგილი, სადაც სტიროდენ ქართველები ისტორიულად და გაჰყურებდენ პონტოს: დიოსკურიამდე. ამხელა მანძილი და ამდენი ხანი. ეს კმარა იმისათვის, რომ ითქვას ყველაფერი. იწყება ახალი და უჩვეულო. ამ ჩვენების წინაშე უნდა აღიმართოს წარსული. გადიფეროს სახეები. დალაგდეს დღეები დაცვენილი.

მეორე რომი — გადაჭრილი ნამგალათი. ნამგალა მოხრილი ცხენის თლად და გზა ნალზე გადარებული. ცოცხლდება ყველაფერი, როგორც სიზმარი სინდაბადის. გადმოდის მაღლიდან ლოცვა და — ანგელოსი გაშლილის წიგნით. ეს წიგნი, ჯერ წაუკითხავი და აუხსნელი — ჰბინდავს მზეს და, ამ ბინდში მუხლმოყრილი, ვიმეორებ მე ძველ ფიცს და აღთქმას შორეულს. მას ვხატავ აქ, როგორც

პირობას — დასტურდაცემულს. დადგინებულს ჩემით — ჩემზე. ესაა ყივილი. გათენება ეკითხოს ღმერთს.

ამიტომ იწყება ლაპარაკი საკუთარ თავთან. იწერება დასაწყისი მისა, რაც იყო. დასასრული ბნელია და სქელი, როგორც ღამე ტროპიკებზე. როგორი იქნება იმის ბოლო, რაც აქ იწერება დასაწყისად. შეხვდება ეს თავი და ბოლო მსგავსებასა და ერთნაირობაში, თუ შევსძლებ შეცვლას, შებრუნებას — ესაა ნება ღვთის.

ავტობიოგრაფია არ ეპატიება არავის. და მე არასოდეს არ დავწერ მას. აქ იწერება მხოლოდ ქირურგია სულის და სახე — მორგში. ამბავი ფიზიკური ყოფნისა არის ანეგდოტი. უხეირო და მჩატე ეპიზოდი, რომლისათვის სივრცე პოლიციის პროტოკოლის საკმარისია ყოველთვის. არის სხვა, რისთვისაც სცხოვრობ და რაც გაცხოვრებს.

„კურთხეულ არს სახელი შენი".

და ეს სახელი არის ჩემთან, ყველაფერი მისგანაა და მის მიერ. ის დამიფარავს მე და სახე მისი იქნება ჩემთან.

მეოცე წელი საუკუნის. ლექსი — დასტამბული. ქორონიკონი. აქედან იწყება ყველაფერი და ჩნდება სიტყვა, მონაბერი ღამისაგან. ფესვი ამ სიბნელის დაფარულია ყველასათვის. არც ეხლა გავახელებ მე ამ საშინელებას, რომელმაც მისროლა ნაპირზე, როგორც იონა — ვეშაპმა. არცაა ეს სავალდებულო. პოეტისთვის სავალდებულოა ამბავი ღვთისა და პოეზიის. ეს ამბავი დაიწყო აქედან. გაჩნდა მეხსიერება და ის, რაც არ დაიკარგება არასოდეს.

ტფილისი პირველად. გზა პოეზიისაკენ, როგორც გზა — დამასკომდე და ფერისცვალება ძვლების. აქედან გაიშალა წლები, როგორც გარდამოხსნა, ჭრილობა ძმარგადასხმული. ყოველთვის მდუმარე. არასოდეს გახარებული. უკმაყოფილო ყველაფრით და იჭვიანი, როგორც ურია, — ვიდექი მე ასე: ღრუბელი გაფიტული. ღრუბელი სველდებოდა სხვისი ცვარით. სხვისი აღტაცებით. სხვისი სიხარულით: მე არასოდეს არ ვყოფილვარ ბავშვი და გამსრისა მან, რაც იყო პირველ ლექსამდე.

პოეზია გახდა შინაარსი. უკანასკნელი და პირველი ხმიადი. პოეზია — ნუგეში. სურვილი. სიყვარული და სიმწარე საზღვარეული.

პოეზია გახდა იორდანედ, სურვილები მოგრეხილ დღეების აენთო სახედ მეშვიდე ანგელოსის.

უხმო. უსიტყვო. უსიხარულო — ვიმალებოდი მე ამოგლეჯილის ენით და ვმალავდი: — უბედურებას — ჩასრესილ გულში. არ იყო კედელი და მიკედლება. არ იყო ტოლი. ძმა. არ იყო არავინ.

სხვასთან მისვლა ნიშნავს — მიტანას. მიჰხარებას. მიტანა სიხარულის გამართლებულია ცამდე. მისვლა უბედურებით — არის იგივე უბედურება. და გამოჩენა მისი ძნელია და მძიმე იმდენათვე, რამდენად საშინელია ტარება მისი. ამიტომ ვიდექი მე მარტო და ვიხრებოდი აქლემის კუზად — მინამდე.

მეშჩანობა. გენიალობა. ფილისტერობა. პოეზია — მიმატებული ერთი მეორეს და გამრავლებული სიცოცხლეზედ იძლევა მაინც სიხარულს. სიხარული იღვრებოდა ჩემს

გარშემო, მაგრამ ის არ იყო ჩემთან. მე აყრილი მქონდა უფლება მივკარებოდი იმ ოსანას, რომელიც ჭერამდე ავსებს ყველაფერს მზის ქვეშოდ. მე ვგრძნობდი, რომ დაბადებითვე მოინამლა ჩემი არსება საშინელი ხრჩოლვით. დამემთხვა თავს ჩვენება: დასერილი თვალების და ამოძირული — სიხარულის. გაუმთბარის და უსინათლოსი. ვხედავდი — მაკლდა გრძნობა უმთავრესი. გრძნობა დიდი და მთავარი, რომელშიაც სცურავს ადამიანი, როგორც ჰაერში.

საშინელია დარწმუნება, რომ ვერასოდეს ვერ იგრძნობ სიხარულს და მთელი სიცოცხლე იქნები ერთნაირი. უფრო განმანადგურებელია შეგნება, რომ ეგ უსინათლობა და ერთნაირობა იქნება უმწარესი და განაწამები. ადამიანს სჩვევია მასკა. ჩაცმა ახალი სამოსელის არაა მარტო კარნახი ჰიგიენის. აქ არის სურვილი მიუღწეველის და მუდამ განუხორციელებელი ცვალების და ილიუზია განახლების. მე წარმოდგენილი მაქვს განცდა ადამიანის, რომელიც ყოველწლივ იცვლის სახელსა და გვარს, როგორც გველი — პერანგს. ეს ფანტაზია რომ დაკანონდეს, შეიძ-

ლება ახალ პასპორტთან ერთად ყოველწლიურად განახლდეს თვით ბუნება მისი პატრონისა და, ვინ იცის, შეიძლება კაცობრიობამ დაგვანახვოს სულ სხვაგვარი სახე. ჩემგან ოცნება მოწყვეტილი იყო. მე ვიცოდი მხოლოდ ერთი, — რომ ცხოვრება მოწამლული სისხლით შეუძლებელია, და სიარული ასეთის ბედის — უსაშველო. სხვა ბედი კი არ მეწერა და განვიძრახე საქმე უხერხული:

დაბადება ხელმეორედ.
შეცვლა ფიზიოლოგიური.

ეს რომ იყვეს ლიტერატურა — აქ ითქმებოდა ბევრი სიტყვა და არც ერთი ნიშანი ალფაბეტის არ დარჩებოდა უსაქმოდ. ამ სიტყვების თქმას მე შევძლებდი და ამ სიტყვებს მე ვნახავდი. შეიძლება მაშინ ჩემი აზრი, — ამჟამად მიახლოებული შეშლილის დიალოგთან — უფრო გასაგები დარჩებოდა გონიერ ხალხისათვის. საბედნიეროდ, მე აღარა ვარ პედაგოგი და გაუბრალოება გაუგებარის ჩემთვის სავალდებულო არაა. შეიძლება ლაპარაკი ამის შესახებ იყოს აბსურდი. მაგრამ ჩემთვის საკმარისია თუნდაც ის, რომ ეს აბსურდი იწყება ბიბლიიდან და ავსებს ეგვიპტეს ასსირიამდე.

ჯერჯერობით ლოღიკურია მხოლოდ ცოხნა. პირდაპირი ხაზი კი მოსედან ლაპლასამდე არის ასეთივე აბსურდი, მოკლებული ლოღიკას. მაგრამ ის ანათებს, როგორც მიღწევა უკანასკნელი და როგორც უკვდავება. ჭეშმარიტება და ამბავი სიკვდილ-სიცოცხლისა ინერება ლოღიკისა და გონიერების იქითა მხარეს. და თუ ქვეყანაზე არსებობს მშვენიერება, — ამის მიზეზია გადარეულები.

გონიერება ადამიანის ბუნებაში ახალი სტუმარია. ადამიანი, როგორც ენერგია, როგორც სტიქია და ბუნტი, არის კატეგორია გადავარდნის და შეშლილობის. წუთები უმაღლესი გამძაფრების მოკლებულია გონიერებას. მე ვიდექი გონიერების საზღვარს გადაღმა და თანდათან ვშორდებოდი მას.

გადადნობა სისხლის.

დარღვევა უჯრედების იერარქიის.

ეს იყო ფაქტი და ეს იყო მიზანი. თუ მინდოდა სიცოცხლე — ეს უნდა ქმნილიყო. სიცოცხლე კი მინდოდა, როგორც არავის და მოკვდინება ასეთგვარი უნდა მომხდარიყო. აქ სდუმდა გონიერება და არგუმენტი. ასე გა-

დავისროლე თავი საკირეში. ასე გავთხარე კუბო საკუთარ ძარღვებში.

შეიძლება ეს იყო მოვლინება ეშმაკეულის. მე არ მჯერა ეს დღემდე — რადგან ვიცი — ჩემთანაა ღმერთი. ყოველი დღე ღამდებოდა ლოცვით და ჯვარით. ღმერთი იყო ჩემი ფუძე და ძალა ურყეველი. ჩაკიდებული ღვთის კალთას, — მე ვიყავი დამკვდარი მის ნატერფალზე. მას შემდეგ ჩამოთოვა წლებმა და ამ წლებში გრძნობა კმაყოფილების იყო მხოლოდ ერთხელ: „ეს სახე თანდათან ემსგავსება პოეტის სახეს". ფრაზა თქმული უფრო კონკრეტულად, ვინემ აქ იწერება. აქ იყო ჩემთვის ნიშანი — გარდაცვალება ხდებოდა. გარდაცვალება მთლიანად, — ეს იყო საზღვარი. და ეს ფიცი ვესროლე ღამეში ჯერ დაუბადებელ ჩემს თავს — შორიდან მომავალს.

გარდაცვალება არ ნიშნავს სიკვდილს. შეიძლება მარტო ამ ასტრალური სიტყვის შესახებ დაიწეროს ყველაზე ფანტასტიური წიგნი ქვეყნად და ამ წიგნს დაერქვას სახელად „საქართველო". ქვეყანა, დამდგინებელი ამ შეგნების და შემქმნელი მისი — ანათებს,

როგორც თანაბარი ღვთისა. გასაღები უკანასკნელი სასწაულის და თილისმა უკვდავების ჰკიდია მას წელზე, როგორც სატევარი მხედარს.

საქართველო წარმოუდგენელია სიკვდილში. ის მხოლოდ იცვლება და ამ გარდაცვალებაში ბრუნავს, როგორც ასტრალური პოტენცია, როგორც პირველი ენერგია, ლეონარდოს რომ აბრმავებდა. ეს პოტენცია ავსებს აზიას ისტორიამდე და ებჯინება პამირიდან პირინეებს, როგორც ჩვენება იოანესი. ამ გარდაცვალებაში მე ვგრძნობდი თავს შვილად ქართულის უკვდავების. ვყრიდი ჩემს ხორცს. ვცვლიდი სისხლს და ვცვლიდი ჩემს თავს, როგორც გატენილ ზამბულაკს.

ასე ვირყეოდი ყოველდღე და ყოველი დღე იშლებოდა ჩემს წინ სხვანაირად. გასწორება სიარულის. მისვლა გულით გულთან, — ეს იყო დაფარული ჩემთვის. და ვიყავი დაშთენილი მდუმარებად. არ თქმულა ერთი სიტყვა, ერთი სადღეგრძელო: მეშინოდა უბედურების, ჩემს სისხლში ჩაკირულის და ჩასრესილის. ვგრძნობდი — ამოვარდებოდა ის,

როგორც ტირილი კედელში ჩაკირული ზურაბის. დაუმკვიდრებელი ყოველთვის. ფერნაცვალი ყოველ დღეს და განბილებული ყოველის ღამით — მე ვიყავი უნდობელი ყველასათვის; ჩემი მეგობრობა ყველასთან - აშლილი და მოგრეხილი, როგორც ღვლეჭი. მაგრამ ჩვენება ჩემთვის მარტო აქ იყო. მხოლოდ აქედან ვხედავდი თრთოლვას ჩემი დაცვენილი სახეებისას. ბრუნვა განახლებისა და გარდაცვალების მოსჩანდა მხოლოდ აქედან.

მე ვწონიდი ქვეყნიერებას ყოველდღე და ვზომავდი ყოველდღე განვლილ ზღვათა სივრცეებს. ალბად ამიტომაა, რომ ჩემს მაგიდაზე ყოველთვის სძევს მეტრი. ვხედავდი პოეზიას და უფრო ახლო ჩემს მეგობრებს პოეზიაში. მათში იყო სიცოცხლე. მზე. ბედნიერება. მათში იყო ხილვა სიხარულის და, ალბად, — გამართლებული და ნაკურთხი პოეზია იყო მათთან. ჩემში იჯდა სიკვდილი. ღამე. უბედურება. უსიხარულობა და უსაშველო „უ“. აქედან — მიუღებელი და ღვთისაგან უკურთხებელი პოეზია ჩემი. პოეზია — ამძაფრებდა ამ გრძნობას. ეს ახურებდა ტვინს. იდრიკებოდა

ურდულები გონებისა და, როგორც სახედარი, მივეთრევოდი აღსასრულისაკენ. მკვლელი. ჯალათი. ყასაბი საკუთარი თავის. ალქიმიკოსი და ტყვია — გადამდნარი საოცნებო ლითონად — ეს უნდა მომხდარიყო და ეს უნდა მოხდეს.

ჩემი გვარი იყო მჭედელი შვიდასი წლის მანძილზე დღემდე. ამ საუკუნეთა ძირში კი ზურგს მიმაგრებენ ჩემი წინაპრები შუამდინარედან: პირველი მჭედლები და მწერლები მწერლობამდე. ჩემს მოდგმაში არის უცნაურობა გადადნობის. და თუ აქ არაა განხორციელება ალქიმიის ოცნებისა, — აქ არის დასაწყისი ცვალების და გარდაცვალების. ჩვენს გვარს მოსდგამს ძველთაგან დამწვარი, გადამდნარი სპილენძის სახე. ჩვენ გვესმოდა ამღერება ცეცხლის, მეწამულობა ცეცხლის და ჩვენ დღემდის ვამღერებთ ცეცხლს. მე მახსოვს ბავშვობა და ახალი წელი სოფლად. მახსოვს რიტუალი სამჭედლოში — როცა მამაჩემი დაანთებდა სანთელს რქიანი გრდემლის მაგარ შუბლზე. მეტალურგია და შინშხალი ცეცხლის მოდის შორიდან და ამ ცეცხლს მივეცი მე საკუთარი თავი.

ასე ვკვდებოდი აღდგომის გულისათვის. და მიმყვებოდა იმედი ღვთისა. მნამს — ღმერთი დამიფარავს მე. ისაა სასწორ-სამართალი. სიბრძნე და სიცოცხლე უშრეტელი. სიმართლე ჩემია და ღმერთიც მომყვება მე.

რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება.

რითი გათავდება ეს ამბავი. რა სიტყვით მივალ იმის ბოლომდე, ეხლა რომ ვსნერ დასაწყისად — მე არ ვიცი. და იქნება ვერასოდეს ვერ გავიგებ ამას. ვიცი მხოლოდ, რომ მე მნამდა ქვეყანა და მნამს, როგორც ჩემი თავი.

მიდიოდა წლები და ჩემი ცხოვრების „უ" გადაიქცა წმინდანიანად. ეხლა მივსჩერებივარ ჩემს წიგნს. თეთრ წიგნს. სისხლით რომ დავასტამბე სათაური. მე მაშინებს ეს წიგნი ეხლაც. აქ ყოველივე სტრიქონი არის ლახვარი, დანასობი გულზე. სამართებელი — გამომძარღველი ჩემი სხეულის. ყოველი ბნკარი ამ წიგნის — სიპზე დანარცხებაა ჩემი თავის და აშვილება გადმონთხეული ტვინის. ამ გახეთქილ თავიდან უნდა გამოიდენოს დაუწყნარებელი ნივილი საშინელი ბედის. ჩემი უბე-

დობის. ჩემი ცხოვრება — გაცხრილული და გადარჩეული, სავსებით მოკლებულია მოქმედებას. თეატრს. ფაბულას. თითქოს დაუჯერებელია ასეთი გრძნობა უბედურების. ხშირია კატასტროფა ადამიანის ბუნებისა, — ადამიანს ანადგურებს ეს ქარტეხილი. ხდება ხშირად დატეხვა და აფეთქება მარადიულისა ადამიანში და ეს ანახშირებს სულს. ასეთი ტეხილებით ღარიბი ვარ მე. მაგრამ არის სხვა რამ, თითქოს ჩემი სისხლი და ყოველი უჯრედი ჩემი სხეულისა თავისთავად იმუშავებს ამ ტკივილს. თითქოს დაბადებითვე დამკბინა მე მითიურმა გველებმა და ეს შხამი ჩაირეცხა ჩემი სისხლის დენაში საუკუნოდ. გველის პერანგი, გადაცმული ჩემზე, მაკივლებს მე უბედურებით. მე არ ვიცი რაა ეს. მხოლოდ ვიცი — ეს არაა მიზეზი დამარცხებული ნივთიერების. მე ვარ ჯანსაღი და მამაკაცი სრულიად. არის სხვა. ყოველ შემთხვევაში უფრო რეალური, ვინემ მეტაფიზიკა, უფრო ნივთიერი მეტაფსიხიკაზე, დამაჯერებელი იმდენად, რამდენადაც დამაჯერებელია ფრანკფურტელი განდეგილის მეტაფიზიკური ფიზიოლოგია და ფერის ცვალება ნივთების. ამაზე დამყარდა განჩინება: — ეს სისხლი

უნდა გაშრეს. ეს ხორცი უნდა შეიცვალოს. თუ ეს არ მოხდა — მოხდება სხვა. საშინელი და უარესი, რაიც გადააჭარბებს საკუთარ თავს. საქმეა მოსწრებაზე.

ასე ჰკივის უბედურება ამ წიგნში. არის შიგ ატირება, მაგრამ არაა ცრემლი. შეიძლება ცრემლი ბანალობაა. ალბად. მაგრამ საჭიროა სიხარული. სიხარულმა იცის გადმოტეხა ცრემლის. ადამიანი ამ დროს ჰგავს მსუყე მიწას, წვიმისაგან ასურნელებულს. მიწას — დემეტრას. მიწას შვილიანს. ეს წიგნი კი არის ხრიოკი. მასზე არ ჩერდება სისველე ცხოველი და ჩამოდის ძირს აჩქარებულ ღვარად. შეიძლება ის ჰგავდეს უდაბნოს, როცა მას უნდა მიაგებოს დამწვარი სახე წვიმას, ცაში რომ იღვრება, მაგრამ ქვიშამდე რომ ვერ უწევს.

ასე ვწივი მე და ვითხოვ — წყალს. ნეშოს. ჩრდილს და სოველ მიწას.

მაგრამ ეს წიგნი, ყველაფრის გარდა, არა ვარ მე. ეს წიგნია ის, რასაც მე ვკლავ. რაც მე არ მინდა, რომ ვიყვე. რომ „წმინდანიანი", როგორც ლიტერატურული ამბავი, მე არ შე-

მეხება. აქ კი განსაკუთრებით ზედმეტია სიტყვა მასზე. ყოველ შემთხვევაში, ვიცი რომ მე დავრჩები. და ეს თემა რომ იდგეს ჩემს წინ, — მე შემწევს ძალა დავამტკიცო პოეტი ნიკოლოზ მინიშვილი პოეზიაში, როგორც თეორემა. დღეს კი ეს წიგნი ჩემთვის დოკუმენტია. ესაა კომპრომისი მისადმი, ვისაც ვკლავ და ვებრძოლები. ეს წიგნია ის სიტყვა და სიტყვები, რომელსაც მე ვიტყოდი, ლაპარაკი რომ დამეწყო. ამ სიტყვებით ლაპარაკი მე არ მინდოდა. ამ სიტყვებს მე ვახრჩობდი სხვა ამეტყველებისა და შემოქმედების გულისათვის. ეს წიგნი ჩემთვის ზღვარია — თუ გავიმარჯვე ჩემს თავზე, ის იქნება მოგონება უბედური პირველისა და თუ ეს არ მოხდა — დეე ნახონ სხვებმა, თუ რამ გაანახშირა სული ნიკოლოზ მინიშვილის. მაშინ ეს წიგნი იყოს ხელნაწერი, ნახული ბოთლში.

ამ წლებმა შეცვალეს ბევრი. თითქოს გაიმართა გზები. მაგრამ არ მოხდა უმთავრესი. ამიტომ ყოველგვარი მიღწევა მოსჩანდა, როგორც სიზმარი. მხოლოდ ერთი კაცი — პოეტი — ხედავდა ჩემში მასზე მეტს, რაც უნდა სცოდნოდა სხვას. მხოლოდ მან იგრძნო საშინელება ჩემში, ჩემი უბედურება და უსი-

ხარულო „უ“. მაგრამ ჩემთვის ეს იყო მხოლოდ ნიშანი სამწუხარო. ნიშანი, რომ შორსაა გამარჯვება.

მადლო ღამეებისა, გათენებულების ლოცვებში, — ნუ დამტოვებ შენ.

ვიკრებდი ღონეს უკანასკნელს. როგორც დანაყული, ცოცხალმკვდარი — ვიდექი მე. იყო წუთები უკანასკნელი გამოთხოვების. და ვგრძნობდი — დავარდებოდა გველის პერანგი. სისხლი ჩემი დაიქცეოდა სიტკბოებად, როგორც ბროწეულის წყარო. წმინდანიანი კისერმოგრეხილი ბარბაცობდა სიკვდილით. მაგრამ დაეცა არა ის. სიყვარული, როგორც სატევარი მოხვდა გულს და წავიქეცი მე, შეცდომილი.

სიყვარული არის მიღწევა. სიყვარულია რწმენა და რწმენა, თუნდაც მისხალი — შესძრავს მთებს. ესაა ღვთაებრივობა სიყვარულის, მუდამ მართალის და გამართლებულის თუნდაც იმით, რომ ის ყოველთვის აღწევს მიზანს. შეიყვარეთ რაც გინდათ, შეიყვარეთ ვინც გინდათ და როგორც გინდათ — ოღონდ შეიყვარეთ და სიკეთე დაგადგებათ

თქვენ. ესაა სიმართლე ცოცხალთა და ეს სიმართლე დამადგა მე, როგორც გრაალი და როგორც რუსთაველი. დამაძინა მან და გააღო სხეული დაბეჭდილი: ვნახე — ღია გულს დააცხრა აყივლებული ყორანი. ჩამოდგა უბედურება დამძიმებული და ნათელი — შავი მზის. წმინდანიანი ბორკილდანადები დამეუფლა მე განმეორებით. ასე აღდგა მკვდრეთით განწირული უბედურება. ასე აიშვა მან, როგორც გელათის წყაროსთან აღმაშენებელის რქიანმა ჯორმა.

მზე — შაბიამანი. მონამლული ფორთოხალი ლეონარდოსი. სიყვარული, როგორც გრძნობა სიზმარში მოვარდნილი კბილის.

უნდოდა შველა თავს დაღუპვის წინ და შებრძოლება კიდევ დაღუპვის კარზე. „უშველე თავსა შენსა და ღმერთი შეგეწევა შენ".

და აენთო განმეორებით ცეცხლი საკირესი. შეიძლება, როცა აღსრულდება განზრახული — ყველაფერი დადგეს, როგორც დაუჯერებელი, როგორც სიზმარი მოგონილი. მაგრამ სიმართლე ამისა დამტკიცდება გამოძიებით. თავის შველა — და მე გავისტუმრე ჩემი თავი ზღვისაკენ დატვირთული უბედურებით.

გავექეცი ჩემს თავს თუ ვუშველე მას. გაიხარებს იგი, თუ ამოშრება გამშრალ ჩალათ. მე ველი ნიშანს და ვიცდი.

ამით მოველ აქამდე და ვიარ — ამით. ვხედავ: მომიტაცა განგებამ. გადამაცვა აღვირი და წამიყვანა შორს. ხდება ამბები ჩემს გარშემო. ნათდება გზები და შუშდება გამოხრული ქუსლები — შორი გზისათვის.

„და მოსჩანს გზები — სონეტებით გადაქარგული“.

მესმის შრიალი სასნაულის და მწამს: აღთქმა, დადებული ძველად, ეხლა იწერება მხოლოდ. მაგრამ დღეს სიმართლე მისი მჯერა უმეტეს და ვსწერ ასე. მინდა გავიგო დასასრული. და მიმეჩქარება ძალზე. განმეორდება ამბავი ლაზარესი, თუ გათავდება იობით. ან როდის.

მინდა ვნახო, როცა მე დავაჩერდები უბედურებით გატენილ საკუთარ ლეშს. მაშინ ვიქნები ბედნიერი. და გავიხარებ მაშინ. მაშინ დაიბადება პოეტი, — რომლის სახელი ჯერ არ ვიცი. და ვნახავ საქართველოს — მაშინ.

პარიზი

II

ყველაზე სავალდებულო პოეტისათვის, შეიძლება, ბიოგრაფია იყოს, — რომელიც არასოდეს არ დაიწერება და არ ითქმება. ყოველ შემთხვევაში, გაკეთება ბიოგრაფიის ისეთივე ძნელია, როგორც აშენება პირამიდის. პოეზია იწყება იქ, სადაც პოეტი სძლევს ბიოგრაფიას და ბიოგრაფია ამის შემდეგ ხდება ისეთივე წარბმაღალი, როგორც თვით პოეზია. ვინ დაამტკიცოს — რომელია უფრო განათებული: ის, რაც დასწერა რუსთაველმა, თუ ის, რაც მან ქნა და, რასაც კომენტატორთა ბატალიონები ვერასოდეს ვერ გაიგებენ.

რა დამრჩება მე — პოეზია, თუ ბიოგრაფია. დარჩება ორივე, თუ არც ერთი არ იქნება გამართლებული.

მივსჩერებივარ ჩემ თავს და ვფიქრობ სიმწარით. ვსნერ, რადგან ტირილი არ შემიძლია. ტირილი და ლოცვა ყოველთვის ხელნერილია უძლურების, მაგრამ — მიმართული მფარველისადმი — ის ხდება ძლიერებად. ვის შევაბრალო ჩემი თავი და ვის მივატირო სამძიმარი: მფარველი ჩემი დაიკარგა სამუდამოდ.

აქამდე ვიყავი, როგორც შესაძლებლობა, როგორც მოლოდინი. მე უნდა მოვსულიყავი. მე შემეძლო. ველოდი აღდგომას, შობას — ღვთის იმედით. ეს ყველაფერი გაჰქრა და შემრჩა ძალზე შეძულებული საკუთარი თავი. მე ვთვლი ნიგნებს — ჩემგან დაუწერელს. ვკითხულობ ცხოვრებას ჩემს მიერ გაუკეთებელს. „წაგებული ბიოგრაფია" ხდება ჩემს ბედისწერად, ცხოვრება ჩემი — „წაგებულ ბიოგრაფიად" და პოეზია დგება, როგორც „ძახთაპირი". იკეტება ყველა კარები ერთის გარდა, რომელიც მაშინებს. ასე — წაგებული, ვაპირებ თამაშს, მაგრამ ვინ მენდობა მე, როცა თვით აღარ ვენდობი საკუთარ თავს.

დაიკარგა ყველა იმედი და იმედიც გამარჯვების. წინედ ღმერთი იყო ჩემთან, როგორც ლოდი — გულზე. კათოლიციზმი და მონასტერი, — ამაზე მე ვფიქრობდი და ეს მეხატებოდა, როგორც რეალობა. მე არ ვიცი, რამ ჰქნა ეს და რისთვის დატრიალდა უბედურება კიდევ ერთხელ. ვიცი მხოლოდ, რომ გამოშიგნული ვაგდივარ სენაზე და მაგონდება შემოდგომა იმერეთში, როცა მამაჩემი ხის ჯვარზე გაჰკიდებდა ძველ ჩოხას, — ჩიტე-

ბის საფრთხობელად. ასეთი ვარ მე დღეს. და ანი, როგორადაც არ უნდა ჩამოდგეს ცხოვრება — სახელი ჩემი დარჩება გაუმართლებელი, რადგან ღმერთი ჩემთან აღარაა.

„და როცა ღმერთიც პოეტებში
ჩასათვალია —
ვინ გაიფიქროს ღვთის გულიდან
ამოძირვაზე“.

ღმერთი და პოეზია. კურთხევა ღვთის და კურთხევა პოეზიის. ჰქრება ორივე ერთად. უკურთხი სიტყვა. წმინდანიანი და ჩემი გამოქლიბული გული — მრჩება მხოლოდ.

პარიზი თავისთავად მოცემულია, როგორც სიხარული. წერა პარიზის შესახებ გაუმართლებელია ყოველთვის. პარიზში დაიწერება მრავალი წიგნი, პარიზზე კი — არც ერთი. პარიზი ჰგავს ბიბლიურ სიზმარს — ცამდე აყუდებულ კიბისა და ანგელოზების შესახებ. ქვევიდან ხედავ ყველაფერს: კიბეს, ანგელოსებს და საბაოთს, მაგრამ ზევიდან არ გადმოუხედნია არავის და არავინ იცის — რას შეხედავდა კაცი, ზევიდან რომ გადმოეხედა. პარიზი ასეთი სიზმარია იაკობის.

კიბე — ცამდე აფრენილი, რომელზედაც არავინ ასულა, მაგრამ, რომელიც ამართულია მაინც, როგორც მარადიული შესაძლებლობა ცისა და ქვეყნის შეერთების. დაწყებული მზით — უკანასკნელ ქვამდე — პარიზია სიხარული. ჩემთვის კი ეს განათება გადაიქცა ბოსხის ჩაშავებულ ფრესკად.

ერთხელ ბელგიელებმა გამართეს ძველი ბრაბანტის და ფლანდრიის მხატვრების გამოფენა პარიზში. იყო სურათი — ტრიპტიხი, უცნობი ჰენტელი მხატვარის. დედო ნაწილი მისი — „ხარება“ მოთავსებულია პროვანსის ერთ მუზეუმში, მეორე კარი — ბრიუსელში და მესამე ეკუთვნის კერძო პირს ლონდონიდან. სამი ჩარჩო, განცალკევებული და ერთი მეორეს დამტირალი, მოიტანეს აქ, სხვადასხვა ქვეყნიდან. მრავალ საუკუნეთა შემდეგ პირველად შეერთდენ ისინი ტიულრიში, კონკორდის წინ, სადაც ერთხელ მოხდა ყველაზე უფრო დრამატიული გამოთხოვება: მარიამ ანტუანეტასი და გილიოტინაზე დავარდნილი მისი უბრნყინვალესი თავის. ორი თვის შემდეგ ეს ტრიპტიხი კვლავ დაიშალა — იქნება სამუდამოდ. შეიძლება უკანასკნელად

დაანათა მას უკვდავი ჰენტელი მხატვრის სულმა. ესაა ბედისწერა. ამბავი სიკვდილ-სიცოცხლისა, რომელსაც მივხვდები მხოლოდ მაშინ, როცა აღსრულდება.

ასე დავშორდი ჩემს თავს. ასე დავსტოვეთ ჩვენ ერთმანეთი. და მაკბეტმა ასე მოჰკლა ძილი. შეიძლება ამ დროს მოვკვდი მეც. და ამ წიგნს ვსწერ საიქიოდან. თუ ცოცხალი ვარ, მაშ რა ვარ. ნიკოლოზ, უბედურო ძმაო, — რა გვეშველება. ბრუნდება „გამოთხოვება" ხელმეორედ. და „მკვდარი, ფეხშიშველი" ვკიდივარ მე ჯვარედინზე. რჩება პოეზია უღვთო და სიკვდილი. სიკვდილი და უღვთო პოეზია. ეხლა ეს ნიშნავს ერთს.

რა უნდა ვსთქვა მე ამის შემდეგ და ამის მეტი რა უნდა დავსწერო. თუ რა დავკარგე მე — ამას ვერ გაიგებს ვერავინ და ვერავინ ვერ იგრძნობს მას. შეიძლება ასევე გაუგებარი დარჩეს პოეტი ნიკოლოზ მიწიშვილი, რომელმაც დაკარგა საკუთარი თავი, უარყო ბედისწერა, მოჰკლა ყველაფერი და ვერაფერი ვერ დაამტკიცა.

დოგმა, არგუმენტი, ისტორია და საუკუ-
ნეები, დადგინებული აბრაამიდან როზანოვამ-
დე მე არაფერს მეუბნება და არაფერში მა-
ჯერებს, გარდა ერთის: რომ დაწმენდილი
ჭკუა და გაწმენდა ჭკუისაგან არის არა მარ-
ტო კალამბური — აქ ისპობა ყოველგვარი
საზღვარი, ეს ორი ცნება გადადის ხშირად
ერთი მეორეში და ხშირად ეცილებიან ერთ-
მანეთს უძლურებაში. ძნელია აქ დადგმა
საზღვარის, განსაკუთრებით, როცა ფიქრობ
ვარსკვლავებით გატენილ ცის სრულყოფილო-
ბაზე. აქ რჩება მხოლოდ რწმენა და აღტაცე-
ბა. აქ ერთდებიან კანტი და ჩანდალა ჰინდო,
გალილეი და ინკვიზიცია, ფოთლის შრიალი და
ბრაჰმას სიბრძნე. ხილვა სასწაულის და
აღდგინება მისი ხდება იმ უბრალოებაში,
რომელიც მოსდევს მინას და ბუნებას ბავშვი-
სას. ეს მჯერა მით უმეტეს, რომ ამ ყოფაში
ჩავარდნილს, დაჟინებით მევლინება მამაჩემის
გამინული სახე იმერეთის სოფლიდან. მე და-
ნასავით მადგია ფიქრი, რომ ჩემი მომავალი
პოეტის, თუნდაც აგზავნილი ცამდე, ვერ აი-
ნონის მამაჩემის ერთი დღის წუხილსაც კი
თავის დაკარგულ შვილზე. ესაა ძახილი შორი-
დან. ტირილი გაუქმებულ რწმენაზე და სინა-

ნული. იჭვი ყველაფრისადმი, პოეზიასთან ერთად. ამ გრძნობით ბრუნდებოდნენ რომიდან და სტოვებდენ კაპიტოლის. ამ გრძნობით ადიან, ალბად, ეშაფოტზე. მე არ ვიცი რაა ეს, მაგრამ დღეს მხოლოდ ეგ ძახილი სოფლიდან, ძახილი მიწის, მაღვიძებს მე და ლეტარგიიდან გამოვყავარ მხოლოდ ამ ხმებს. აქ იწყება ინერცია განახლებული მოქმედების და მივდივარ წინ.

და თუ ეხლა კიდევ ვსწერ, თუ საბედისწერო წისქვილი კიდევ ფქვავს ჩემი ფიქრების ყავასავით შავ მარცვლებს, — ამის მიზეზია ეს მოგონება და ეს ძახილი პარიზში — იმერეთიდან. ინერცია იშლება მოქმედებად. მეხატება ახალი, სხვა ცხოვრება და ვეძებ ახალ გამართლებას.

დღეები სამოთხეში ადამის მარტო ყოფნისა, ალბად, ყველაზე საშინელი, დამამცირებელი დღეები იყო. ეს წუთები თავის შემოქმედებითი სიმწარით და ბუნტით უდრის ყველაფერს, რაც შეიქმნა ამის შემდეგ და, ვინ იცის, როგორ დაიწერებოდა სახე და სახელი უფლისა, რომ დროზე არ მომხდარიყო

კომპრომისული შექმნა მეორე არსების. ქრისტე უდაბნოში და მარტოობა უდაბნოელების არის წუხილი უძლურების და ძებნა ახალი შიფრის ღმერთსა და ქვეყანასთან სალაპარაკოდ. მდუმარებაში ნახულია ყველა რელიგიები, მარტოობაში ნაწრთობია ყოველი განათება და განაჩენი, მაგრამ უდაბნო და მდუმარება თავისთავად არის სიკვდილი საცოდავი. ვერც ერთი წინასწარმეტყველი ვერ აამეტყველებს ქვიშას. შესვლა მარტოობაში გამართლებულია მხოლოდ ამეტყველების, მხოლოდ დაბრუნების იმედით. ამიტომაა, რომ უდაბნოზე ყოველთვის გადაბმულია ფიქრი წყაროს შესახებ.

ჩემი გამომშრალი სული ეძებს ამ წყაროს, ამ სახელს, ჩვენებას. მე ვიცი, რომ ქრისტესთან ერთად დავასაფლავეთ უკანასკნელი ღმერთი ქვეყანაზე. ოლიმპი, ასკილით მოშამბული, ვნახე ჩემის თვალით. ღმერთების მაგიერ იქ დაჩოჩავს ამერიკელი ტურისტები და აკმევენ ჰავანნის სურნელებას. პანი მოკვდა დიდი ხნის წინეთ, ხოლო ადამიანი, როგორც კულტი — შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ,

რომ ჩვენ მონამენი ვართ უკანასკნელი მონარქების. უკანასკნელი საიდუმლოება წაიღეს თან ღმერთებმა და სიცივე უმეტყველო საფლავების უკანასკნელად დაიტირეს პოეტებმა აქ, პარიზში. შეკრულია ყველა გზები ერთის გარდა, მაგრამ მის ბოლოში სდგას დაისრული სახე ახალი სებასტიანესი, როგორც წითელი სიგნალი უბედურების. მეტი გზა არ ნახულა.

ენერგია სიცოცხლის მოითხოვს განაღდებას არა მარტო სქესში. სიცოცხლე თვალწამოვარდნილი არის მაინც სიცოცხლე, თუნდაც იმიტომ, რომ უარყოფა მისი იქნებოდა დაწყება ახალის. მე ვღებულობ სიცოცხლეს ძირიანად. მე ვიხჩვები სიცოცხლის წყურვილით და, ყველაფერში მოტყუებული, მზადა ვარ გავდგე უდაბნოში და გავყიდო საკუთარი ჩრდილი. სიცოცხლე ამგვარი იქნება გამართლებული იმდენადვე, რამდენადაც გამართლებულია ცხოვრება ნაბუქოდონოსორის და ლავრენტი მშვენიერის. ესაა სიმართლე, მაგრამ სიმართლე უნდა იწამო. აქ საჭიროა ის, რითაც შეერთებულია ლექსები პითაგორის და

პიფაგორის გეომეტრია. ეს არა მაქვს მე დღეს და არ მქონია ღვთის დროსაც. ამას ვეძებდი მე ღმერთში, ამას ვეძებ ღვთის გარეშეც და ვრეკავ, როგორც განწირული „S. O. S." არკტიულ ზღვებში ჩავარდნილ გემის.

დღეს კვირაა. პარიზი გამთბარია შემოდგომის მზით და პარიზი მაგონებს დღეს ქართულ გაზაფხულს. ქუჩიდან მოისმის ძველი არია, ამოდის ზევით, როგორც სურნელება ფერადი ხმების და იშლება კარნავალი კალეიდოსკოპად. თბება სული უცნობი მშვენიერებით და ცხოვრება ჩემი ქრება, როგორც შორეული ვარსკვლავი. კვდება გრძნობა, ქრება სახეები და სახელები, ხმანი და სიტყვანი და ყველაფერი იღვრება უსაზღვროების წინაშე.

მაგრამ ძირს, მეხსიერების ფსკერში, იგრიხება უცხო სახე, აყივებული სიტყვა: „ევოე". მოარღვევს ტვინს, შედის გულში, როგორც მახვილი აგზნებული, როგორც ქვა, ნასროლი დაძინებული წყალის პირზე:

„ელოდი სასწაულს და სასწაული მოხდა. ელოდი აღდგომას და აღდგომა არ დაიჯერე. შენ გამოგეპარა სიკვდილი შენი და შენივე აღდგინება. ღმერთმა, ძლიერმა შენის უბედურებით, მიგატოვა შენ და წარიღო ბედისწერა შენი. წმინდანიანი გადაჰყვა საუკუნეებს და ჰა, იხილე ცხოვრება და სიხარული. გააღე კარი სამყოფელისა შენისა და მიიღე სტუმარი შორეული. ღმერთი ცხოველი კი მოიპოვე თვით“.

ეს ძახილი ეკვეთა გულს, როგორც შურდული და მოწყვეტილი დავეპყრე ძირს. ჩამოდგა ღამე თვალდაბურვილი და რვალავდა მას ელვარე ანგელოზი გაშლილის წიგნით: მე ვარ ალფა და ომეგა, დასაბამი და აღსასრული და არა არს რა, გარეშე ჩემდა... გააღე კარი სამყოფელისა შენისა და მიიღე სტუმარი შორეული.

დობილოები ელევზის და საიდუმლოებანი ელევზისა. ცოცხალი შტოთი ნასხურევი ბედნიერება და ვაზი, თბილი სისხლით შეღებილი ქართულ მიწაზე. სისხლი და ღვინო. ვაზი და რკინა. ევოე. სიხარული და მზე.

კარი სამყოფელისა ჩემისა რჩება დაკეტილი და უკანასკნელად ვიშორებ ქრისტეს ხელს — გამშრალი თვალების დასახურავად გამოწვდენილს.

ეიფელზე რეკავს T. S. F. და უხმობს ნაზარეველს უოლლ-სტრიტზე. ლუქსორში იშმუშნება ტუტანჰამონი და ირღვევა სარკოფაგი დაბეჭდილი. შეკრულია გზები იქითა მხარისაკენ და თეთრ სპილოებად ბრუნდებიან უკან ფარაონები, — ახლოვდება უბედურება. მწვანე სირიუსად სქდება მოჟანგული ძარღვები და გადაზნექილი ზანგის ქალი შლის ალისფერა ტუჩებს. წმინდანიანი ჰყივის ნოტრ-დამიდან და ავხორცა ქიმერები ლოშნიან უმანკო ჟენევიევას თეთრ სხეულს ნორტ-დამზე.

მშვიდობით ევროპავ. და მშვიდობით ახალგაზრდობავ. მშვიდობით, ძმაო ნიკოლოზ, რომ გეძებდი და ვერ გნახე. დაინგრა ყველაფერი, რაც განვალებდა შენ. მოკვდი, თუ ცოცხალი ხარ. ეწამები კვლავ, თუ განათდება შავი ვარსკვლავი შენი.

ახალი გზით. სხვა ფიქრით — ისევ უკან. შინისკენ. ბედეკერი ცისათვის არ შედგენილა ჯერ. ბედეკერი საკუთარი სულისა ფურცლობით გავიხმარე მე მსოფლიოს დაუკეცავ შარა გზებზე. შინ. შინ. სახლისაკენ. მიწისაკენ. ჩემო მიწა და ჩემო თავსაფრიანო დედა. ზარებმა შესწყვიტეს, თურმე, რეკვა ჩვენ სოფელში. მაგრამ ხარები ისევ ბღავიან ჩვენსას, ჰკოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს.

1922-1923 წელი.
სტამბოლი — პარიზი.

სარჩევი

გახსოვდეს სიცოცხლე (მ. ჯალიაშვილი) 5

საით მივდივართ? 27

ტანჯვა 30

სიყმანვილე 32

მე ვარ „ადამიანი“ 34

წინ, სიკვდილისაკენ! 39

პეპელა 43

სიცოცხლე... სიცოცხლე! 45

უხილავს 50

ისინი ცხოვრებას ქმნიან 54

წუთები ცხოვრებისა 59

ყოველივე წარმავალია 62

სიზმარი 68

Memento mori 74

მთის მდინარე 78

მდუმარება 80

მელანქოლია 83

უდაბნოს საიდუმლო 95

სამარადისო ზღაპარი 99

რეა 105

აკვარელით ნახატები 114
ბაბილონის ხალიჩა 117

გარდაცვალება

სტამბოლი 123
პარიზი 141

საგამომცემლო ჯგუფი

თეა გაბუნია
ლაშა გადელია
ნინო მინიშვილი
ლიკა სხირტლაძე
ნინო ყულოშვილი
მართა წიკლაური
შორენა წიქარიშვილი

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი

ბარეკანზე გამოყენებულია
დავით კაკაბაძის
პეიზაჟი

გამომცემლობა
ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17 ბ
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54 ·
inteleqti@caucasus.net